# საერთო გაზეთი

№2 (460) • 24 იანვარი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## მწერლობაში „ჩანერგილები“

## მწერლობისა და საქართველოს წინააღმდეგ









ეს „ჩანერგილები“ შინაგან საქმეთა მინისტრს ემუქრებიან, საზოგადოებას მიანიშნებენ, ჩვენ უფლება გვაქვს გაგინოთ, გიგინოთ ოჯახი, კიდეც დავლევთ, შეურაცხყოფას მოგაყენებთ, პატრიარქსაც შეგიგინებთ, თქვენ კი ხმის ამოღება არ გაბედოთო. არ არის ეს ქვეყნის აბუჩად აგდება?



ფილოსოფოსი კასრში ვიცი მე და არა რეზიდენციაში, პრეზიდენტად



**მელორ სტურუა:**
შეკითხვა: „ჰაუ დუ იუ დუ, მისტერ ტრამპ?“ - კვლავაც უპასუხოდ დარჩა

### თვითმხილველი მოგვითხრობს...



თუ ეს პროვოკაცია იყო, რატომ ემზადებოდნენ „ნაციონალები“ აგვისტოს ომისთვის სამი თვით ადრე?

### „რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება“






**მარტინ ბორმანი** – ჰიტლერის პირადი მდივანი, სტალინის საიდუმლო აგენტი იყო?!

## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# მწერლობაში „ჩანერგილები“ ქართული მწერლობისა და საქართველოს წინააღმდეგ



## გვესაუბრება პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ბაღათერ არაბული

**ეს ახალგაზრდა მწერლები შინაგან საქმეთა მინისტრს ემუქრებიან, საზოგადოებას მიანიშნებენ, ჩვენ უფლება გვაქვს გაგინოთ, გიგინოთ ოჯახი, კიდეც დავლევთ, შეურაცხყოფას მოგაყენებთ, პატრიარქსაც შეგიგინებთ, თქვენ კი ხმის ამოღება არ გაბედოთო. არ არის ეს ქვეყნის აბუჩად აგდება?**

**— ბატონო ბაღათერ, „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა მთავარი რედაქტორის წერილი „პენისი კალმის ნაცვლად, თანამედროვე პროლეტკულტელები და „წმინდანთა“ დისციპლინა...“, რაშიც თანამედროვე მწერლობის ბევრი პრობლემატიკაა მიმოხილული. თქვენი აზრით, რა პროცესები მიდის დღეს მწერლობაში?**

— დიახ, პირველ რიგში, მივესალმები თქვენს რედაქციას, რომელიც უდაოდ შესანიშნავ გაზეთს აკეთებს. ჩემი აზრით, „საერთო გაზეთი“ ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო გაზეთია, რაშიც უდიდესი წვლილი მის მთავარ რედაქტორს ვახტანგ ხარჩილავას მიუძღვის, რისთვისაც მას დიდი მადლობა. რაც შეეხება შეკითხვას, მინდა ბატონი ვახტანგის წინა ნომერში გამოქვეყნებული სტატიის პათოსი სრულად გავიზიარო. ქართულ მწერლობაში შეიქმნა ტენდენცია, რაც ადამიანის ნიველირებას, მისი ღირსების, ზნეობის შელახვას ემსახურება, რაც საკმაოდ თვალშისაცემია. ბურჭულაძემ, დეისაძემ და სტატიაში მოხსენიებულმა სხვა მწერლებმა ვერავინ დამარწმუნებს, რომ არ იციან რას და რატომ წერენ. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, მათ მართლაც ვიღაც ავალებს ასე წერონ, რაც შემდეგს ემსახურება — საზოგადოება გარყვნან და თავის ჭკუაზე ატარონ. ზოგადად, საზოგადოებას მწერლის სჯერა. მათ კი ამ ე.წ. მწერლებისგან ესმით: რა მწერალია ილია, რა პოეტია რუსთაველი, გალაკტიონი ორლობის პოეტიაო, რაც მკითხველს მეხსიერებაში ილექება და იგი ამ აზრის დაჯერებას იწყებს. მთავარი პრობლემა ის არის, რომ ეს პროცესები იდეურობის დონეზეა აყვანილი, მსგავსი ტექსტები შეგნებულად ჟღერდება ტელევიზიებში თუ სხვაგან. ბილწსიტყვაობა რაც ამ მწერლების ნაწარმოებებს ახასიათებს, ვფიქრობ, ყურადღების მისაქცევად, მკითხველისთვის თავის დასამახსოვრებლად კეთდება, მაგრამ ეს იაფფასიანი, დროებითი ტალღაა. ზუსტად იგივეს აკეთებდნენ პროლეტკულტელები, რომელთა ქმედებებმა საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა ქართულ მწერლობას და კულტურას, ახლაც, იგივე ხდება. იმედია, ეს ტალღა გადაივლის და დავიწყებას მიეცემა. დაუშვებელია დღევანდელ მწერლობას სამი-ოთხი კაცი განსაზღვრავდეს.

**— თუმცა, ეს მწერლები საკმაო სახელმოხვეჭილნი არიან და ლიტერატურული პრემია „საბას“ ლაურეატებიც მრავალჯერადად ხდებიან.**

— ეს კიდევ ცალკე აღშფოთების საგანია. არ შეიძლება ერთიდაიმავე პიროვნებებს სამჯერ, ოთხჯერ და ზოგჯერ, რვაჯერ მისცე „საბა“, ამ დროს კი ის მწერლები, რომლებიც მართლაც იმსახურებენ ამ პრემიას ჩრდილში იყვნენ მარტო იმის გამო, რომ მათი შემოქმედება განსხვავებულია და მასში დედის გინება არ არის, თანაც, ისინი არ არიან ტელე-პოეტები, ტელე-პროზაიკოსები. ამიტომ, მათ საზოგადოება ნაკლებად იცნობს. ვახტანგ ხარჩილავას, ტარიელ ხარხელაურს, ელა გოჩიაშვილს, მანანა ჩიტიშვილს, რომლებიც თავისი თაობის გამორჩეული პოეტები არიან პრემია „საბა“ არასდროს მიუღიათ, ხოლო შამუგიას, ბუღაძეს, ბურჭულაძეს და სხვა მისთანებს გაურკვეველი ტიპის ტექსტებში სამჯერ-ოთხჯერ აქვთ ეს პრემია მიღებული, რაც სულ მცირე უხერხულია. კი ბატონო, აკა მორჩილაძე ნიჭიერი მწერალია, მაგრამ როგორ შეიძლება „საბა“ რვაჯერ მისცე?! მაშინ ნობელის პრემიაც გაიცემოდა ორჯერ-სამჯერ, რუსთაველის პრემიაც გავცეთ ერთ პიროვნებაზე რამდენჯერმე. ასე ხომ არ შეიძლება? — ეს დაუშვებელია. წესით, ეს პრემია ლიტერატურული პროცესის განვითარებისთვის არის დაწესებული, მაგრამ რატომ მხოლოდ შამუგიას, ბუღაძის ლიტერატურული პროცესების განვითარებისთვის? იგი ყველა თაობის კუთვნილება უნდა იყოს და სრულიად ქართული მწერლობის ლიტერატურული პროცესების მიმდინარეობა წარმოაჩინოს. აღნიშნული პრობლემა მარტო მწერლობაში როდია, იგი თავს იჩენს სკოლებში, უნივერსიტეტებში, პარლამენტში, მთავრობაში. პარლამენტის წევრები წერენ კანონს ნარკომანიის ლეგალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის შესახებ, რასაც გუშინ სოროსიდან გამოჩეკილი პარლამენტარები კურირებენ. საქართველოში, მომხმარებელს შეუძლია 80 გრამი ნარკოტიკი — მარიხუანა ჯიბით ატაროს, რაც ოცი ადამიანის საკმარისი ოდენობაა. დეკრიმინალიზაციის საწინააღმდეგო არავის აქვს, მათ მკურნალობა სჭირდებათ, მაგრამ ყველა ნარკოტიკის ლეგალიზაცია ძალიან დიდი დანაშაულია. საქართველოში ახალგაზრდობის 80% უმუშევარია, არ იციან სად გაატარონ დრო: ზოგი კაზინოში შედის, ზოგი სამორინეში. თუ მათ საშუალებას მივცემთ ნარკოტიკი განუსაზღვრელი რაოდენობით მოიხმარონ, ეს ძალიან ცუდი იქნება, რაც ერის დაღუპვის და დანაშაულის ტოლფასია. ეს საკითხი ახლა, შემთხვევით არ მიხსენებია იმიტომ, რომ ამის პროპაგანდას მწერლებიც ეწევიან. დეისაძე „იმედის“ ტელევიზიით გამოვიდა და თქვა: კარგ ნაწარმოებს და მუსიკას მაშინ ვწერ, როცა მარიხუანა მაქვს მოწეულიო. ამ პროპაგანდაში ჩართული იყვნენ სხვა მწერლებიც, მსახიობები, პოლიტიკოსები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ნარკოტიკი კარგია. ეს გლობალური მოვლენა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართული.



**— თქვენ აღნიშნეთ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებშიც იგივე სიტუაციააო, რა გაქვთ მხედველობაში?**

— მოგახსენებთ. ნაცვლად იმისა, რომ სკოლებში ილია, ვაჟა, გალაკტიონი ისწავლებოდეს, რაც ახალგაზრდა თაობას სამშობლოს სიყვარულს შთააგონებს, მათი შემოქმედება სასწავლო პროგრამიდან ამოღებულია, როგორც სკოლებში ისე უმაღლეს სასწავლებლებში. შემიძლია მაგალითად ერთი კონკრეტული შემთხვევა მოვიყვანო: პიროვნება, რომელიც „ნაციონალების“ დროს განათლების მინისტრის მოადგილე იყო, ახლა კი, „ილიაუნში“ სტუდენტებს ლექციებს უკითხავს, ასოცირებული პროფესორია, მათ ეუბნება: პატრიოტიზმის, სამშობლოს თემაზე წერა არის ჩამორჩენილობის, პროვინციალიზმის ნიშანი, რაც ქართულ ლიტერატურაში მიუღებელიაო. როგორ შეიძლება უმაღლესში ასეთი ლექტორი ასწავლიდეს, ის ხომ მომავალ თაობას წამლავს. მისი აზრით, რაც უფრო ნაკლები ეცოდინება სტუდენტს სიყვარულზე, სამშობლოზე, ზნეობაზე, უკეთესი ყოფილა. სწორედ აქედან მოდის თანამედროვე მწერლების მსგავსი იდეოლოგიაც. წლების მანძილზე ვახტანგ ხარჩილავასთან ერთად „ცისკარში“ ვმუშაობდი, ახლაც, ამ ჟურნალში ვარ. აქვე, გამოდიოდა ახალგაზრდული ჟურნალი „ნობათი“, ჩვენ, ყოველთვის, ახალგაზრდა, ნიჭიერ მწერლებს ვეძებდით. ღმერთმა არ ქნას, რომ ასეთი მწერლები არ გვყავდეს. ნიჭიერი, ახალგაზრდა მწერალი ახლაც ბევრია, უბრალოდ, მთავარია მათი მოძებნა, სწორ გზაზე დაყენება, დაკვალიანება. დღეს, ეს „ჩანერგილი“ მწერლები, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, ვფიქრობ, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ახალგაზრდები, რომლებიც ქართულ მწერლობაში მოდიან, თავის ჭკუაზე, გემოვნებაზე დაიყვანონ.

**— ბატონო ბაღათერ, რადგან მწერლობის პრობლემებზე ვსაუბრობთ, საინტერესოა თქვენი მოსაზრება იმ ქაოსზე, რაც ზვიად რატიანის თემას უკავშირდება?**



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.





— ამ თემის გარშემო დიდი ხმაური ატყდა. დეისაძე, ბუღაძე, შამუგია და სხვები რატიანის დასაცავად გამოვიდნენ. კი, მწერალი უნდა დაიცვა, მაგრამ მას უფლება არ აქვს თავისი საქციელით საზოგადოებას შეურაცხყოფა მიაყენოს. არ შეიძლება პატრიარქის გინება ჩვეულებრივი მოვლენა იყოს. ამ დროს კი რა ხდება?! — ეს ახალგაზრდა მწერლები შინაგან საქმეთა მინისტრს ემუქრებიან, საზოგადოებას მიანიშნებენ, ჩვენ უფლება



გვაქვს გაგინოთ, გიგინოთ ოჯახი, კიდეც დავლევთ, შეურაცხყოფას მოგაყენებთ, პატრიარქსაც შეგიგინებთ, თქვენ კი ხმის ამოღება არ გაბედოთო. არ არის ეს ქვეყნის აბუჩად აგდება? საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გვაჩვენა, თუ რისთვის მოხდა რატიანის დაკავება. რატიანი ნიჭიერი პოეტია, მაგრამ უმიზეზოდ პატრიარქის გინება, მიუღებელია. მან შეურაცხყოფა მიაყენა მწერლის ღირსებას. მწერალი ყოველთვის ერის წინამძღოლად, მის დამცველად მოიაზრებოდა. მეფეები მწერლები, პოეტები იყვნენ. მწერლის სიტყვას ერი ენდობოდა. როცა დედას იგინები საკუთარ თავსაც შეურაცხყოფას აყენებ და კოლეგებსაც. „რუსთავი2“-მა ეს თემა „აწია“ და ისე წარმოაჩინა, თითქოს, რატიანის დაკავებით ეროვნული ტრაგედია მოხდა. დეისაძემ, ბურჭულაძემ, ბუღაძემ, პირდაპირ, დალესის დოქტრინით მიმართეს გიორგი გახარიას: **„გავაშავებთ თქვენს მოქალაქე სისტემას, გავაკეთებთ შარჟებს, სასაცილოდ ავიგდებთ თქვენი სისტემის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, რომანებისა და ლექსების პერსონაჟებად გაქცევთ, გავაკეთებთ თქვენთვის ფრიად უსიამოვნო პერფორმანსებს. მადლობლები ვართ ახალი შთაგონება რომ გაგვიხსენით. სანამ ამ საქმეში მონაწილე ერთი მოქალაქე გაიუნიკი გარეთ იქნება, მანამ არ მოგცემთ მოსვენებას, არ ამოგასუნთქებთ“.** ისინი პირდაპირ ტერორს ახდენენ შსს მინისტრზე და იგი იძულებული გახდა ამ მწერლებთან მისულიყო. რაზეა საუბარი, როცა შენი ქვეყნის შსს მინისტრს და „საზ. მაუწყებელს“ აშანტაჟებ?! შამუგიებს და მსგავსთ „რუსთავი2“-ზე ერთი აუგი სიტყვა არ წამოსცდენიათ, ეს ტელევიზია ხომ წლებია ქვეყანას წამლავს. სისხლისღვრების, „ნაცების“ მიერ ჩადენილი უზნეობების გაპრავება, სწორედ, „რუსთავი2“-დან ხდებოდა და ხდება. ერთი არავის გაუპროტესტებია „რუსთავი2“-ის იდეოლოგია, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული დივერსია, სამაგიეროდ, მაღლაფერიძეს დაუწყეს ძირის გამოთხრა. არ შეიძლება მწერალი ორმაგი სტანდარტით ცხოვრობდეს. ჩემი აზრით, „საზმაუ-ზე“, პარალელურად, უნდა მოხდეს იმ პროცესების წარმოჩენა, რაც ლიტერატურაში მიმდინარეობს და არა შერჩევითი ჯგუფების, არამედ ნამდვილი ლიტერატურის პროპაგანდა. დღეს, ტელევიზიები ლიტერატურულ პროცესებს არ აშუქებენ. „იმედიც“, ფაქტობრივად, „რუსთავი2“-ს დაემსგავსა. პრობლემებზე საფიქრალია. ამას სახელმწიფომაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს იმიტომ, რომ რომელი მწერლებიც „ნაცების“ დროს ხმაურობდნენ, ისინი „ქართული ოცნებისგანაც“ ხელშეწყობილნი არიან. დანარჩენ მწერლებს არც არავინ ეძებს და არც აფასებს. თუნდაც, ხომ საინტერესოა, გახარიას ასეთ პრინციპულ მოთხოვნას რომ უყენებენ, სად იყვნენ „ნაცების“ დროს, როცა გირგვლიანს, რობაქიძეს, ვაზაგაშვილს კლავდნენ? სად იყო მაშინ ბუღაძე, შამუგია, დეისაძე და სხვები, ხმას რატომ არ იღებდნენ? გეტყვით პასუხს: ისინი „ნაცების“ ნავში ანუ „ნაცების“ „ტანკში“ ისხდნენ და ახლაც, იგივეს აკეთებენ. ყველა ამ თემის აწევა „რუსთავი2“-ის პროპაგანდით, ხელშეწყობით ხდება. კულტურის სამინისტრო, ტელევიზიები ისევ „ნაცების“ კადრებით არის გადაჭედილი. იდეოლოგია, რასაც იმ პერიოდში „ნაცები“ ეწეოდნენ, დღესაც ყვავის. ცუდია რომ ჩვენი ახალგაზრდა კოლეგები, რომელთაც შეუძლიათ მწერლობისთვის კეთილი საქმეები აკეთონ, ამ ტენდენციის დამმკვიდრებელნი გამოდიან. ხელს უწყობენ სწორედ იმ უზნეობის, არასამართლებრივი პროცესების განვითარებას, საზოგადოების დაძაბვას. ვფიქრობ, მწერლის მოვალეობაა სიკეთის კეთება. მან საზოგადოებას თავისი სიმთვრალით, გინებით, უწმაწური ტექსტებით კი არ უნდა დაამახსოვროს თავი, არამედ საკუთარი შემოქმედებით. ამის ნაცვლად ისინი, სამწუხაროდ, დაკვეთას ასრულებენ. ის პროცესები, რასაც დღეს, ქართულ ლიტერატურაში ნერგავენ, ევროპამ უკვე გაიარა. ესენი ქარავანს ჩამორჩენილი მოგზაურებივით არიან. უხამსი ტექსტები, რაც ევროპაში 20-30 წლის წინ იწერებოდა, ჩვენებმა ახლიდან აითვისეს. ახლა, მწერლობაზე ვსაუბრობთ, მაგრამ დააკვირდით, იგივე, ტელეფილმებს, გინების გარეშე ფილმს ვერ ნახავთ. ამ ფილმების სცენარისტები ხომ იგივე მწერლები არიან. ეს კასტაა, რომელიც ამ მეთოდით მოქმედებს ლიტერატურაშიც და კინოშიც. ზოგჯერ ისეთი გინება ისმის, რომ უბრალოდ, შეგრცხვება. ეს არის ტალღა, რომელმაც საზოგადოების გემოვნების ერთგვარი დეგრადირება უნდა მოახდინოს, ბულვარული სტილის ლიტერატურშჩინით საზოგადოების გემოვნება გარყვნას. მოგეხსენებათ, გარყვნილი საზოგადოების მართვა, ძალიან ადვილია. აი, ეს პოლიტიკაა დღეს...

ხელისუფლებამ, პრესამ, ტელევიზიამ ცოტა სხვა გეზი უნდა აიღოს. მათ, რა თქმა უნდა, წერას ვერ აუკრძალავ, მაგრამ პარალელურად, უნდა არსებობდეს ჭეშმარიტი ლიტერატურის პროპაგანდაც.



სწორი პროცესების წარმართვა და პოლიტიკის შემუშავება მწერლობის განვითარებისთვის აუცილებელია, რაზეც, პირველ რიგში, ხელისუფლებამ, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ უნდა იზრუნონ.

**— გამოდის, ვინც ღირებულს ქმნიან ის მწერლები იმიტომ არ ჩანან, რომ საკუთარ ტექსტებს ტუალეტში არ წერენ?**

— სამწუხაროდ, ასეა. ამაში სწორედ იმ ტელევიზიებს მიუძღვის დიდი წვლილი, რომლებიც მათ პროპაგანდას უწევენ. იქ, მომუშავე ჟურნალისტებიც ამ გემოვნებით არიან აღზრდილნი. ისინი, სწორედ, იმ „ილიაუნში“ აღიზარდნენ, სადაც ლექტორი ის ქალბატონია, რომელიც ქადაგებს, რომ პატრიოტიზმი, ზნეობა, რელიგია ეს ყველაფერი ბლეფია და ჩვენ, ახალ სარწმუნოებას, იდეოლოგიას, რელიგიას ვქმნითო. სწორედ ეს ახალი რელიგიაა უზნეობა, აღვირახსნილობა. დემოკრატია არ ნიშნავს, რომ ყველაფრის უფლება გაქვს. ეს საზოგადოების დაშლის, გარყვნის, უზნეობისკენ მიმავალი გზაა, რომელიც ტაძრამდე ვერ მიგვიყვანს. ეს უზნეობა უნდა აიკრძალოს. ამას ჩვენ, ვერ ავკრძალავთ, მაგრამ როცა ადამიანი შინაგან ცენზორს კარგავს, უკვე ყველაფერზეა წამსვლელი.

**— წეღან, „საბას“ პრემიაზე ისაუბრეთ. ანალოგიური ხდება ფრანკფურტის, დრეზდენის და სხვა წიგნის ბაზრობებზე, სადაც ერთიდაიმავე მწერლების წიგნები ითარგმნება და იბეჭდება. ამაზე რას გვეტყვით?**

— გეთანხმებით, მართალს ბრძანებთ. „საბას“ პრემია იცით, როგორ გაიცემა? — ერთიდაიგივე ჯგუფია, ვთქვათ, 10-კაცინი. პირველ წელს 5 კაცი ჟიურიში ზის და მეორე 5 კაცს, მათი კასტის წარმომადგენლებს პრემიას ურიგებს. მეორე წელს, ჟიურის წევრები ისინი არიან ვინც წინა წელს პრემია მიიღეს და ახლა, მათ აძლევენ პრემიას, ვინც წინა წელს ჟიურიში ყოფნისას ისინი დააჯილდოვა. გესმით, რა ხდება? ასე წრეზე ტრიალებს ეს „საბა“. პრემიებს ერთიდაიგივე ხალხი იღებს. მაგალითად, დაახლოებით, 5 წლის წინ, პრემია ორჯერ ზედიზედ მისცეს ვინმე მაისურაძეს, რომელიც გერმანიაში სწავლობდა, ჩამოვიდა და პატრიარქის ლანძღვა-გინებისთვის პრემია მისცეს. ჩემი აზრით, ამგვარ ტექსტებში „საბას“ პრემიის მიღება უზნეობაა. მაშინ მამუკა ხაზარაძეს კიდევაც გავუგზავნე წიგნიდან ციტატები, რაშიც მან პრემია გასცა. მეორე წელს, თითქოს, ჯინაზე მას პრემია ისევ მიაკუთვნეს. მეტი რაღა გითხრათ?! ხაზარაძეს, ალბათ, სულ არ ადარდებს ვის აგინებენ. ასეთი ტენდენციაა, რომ საზოგადოება უფრო გამოშტერდეს, გამოსულელდეს, მან კი ამით მეტი ფული აკეთოს. რაც შეეხება ფრანკფურტს, ევროპას ეროვნული, ქართული პოეზია და პროზა, რომელიც ადამიანური, ღირებულია, უფრო ენატრება. ვფიქრობ, ქართული ლექსი ევროპისთვის უფრო მისაღებია, ვიდრე ამ მწერლების გინება, ლანძღვა და უზნეობა. კულტურის სამინისტროში არის წიგნის პალატა, რომლის ირგვლივაც ეს მწერლები არიან შეკრებილნი. მისი ხელმძღვანელი გახლავთ დეა მეტრეველი, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე „ნაცების“ დროს დაინიშნა. მაშინაც და ახლაც ფრანკფურტის, დრეზდენის და წიგნის სხვა ბაზრობებზე ერთიდაიგივე ხალხი მიდიოდა და დღესაც მიდის. „მწერალთა სახლში“ წიგნის



პალატის ხელმძღვანელთან შეხვედრა მოეწყო. დეა მეტრეველს შევეკითხე: ვინ არჩევს იმ ხალხს, ვინც წიგნის ფესტივალზე იგზავნება, ვინ გყავთ კომისიაში-მეთქი, მიპასუხა: რისმაგ გორდეზიანი, ირმა რატიანი, ლაშა ბაქრაძე და ა.შ. ეს ხალხი თავის ადგილზე შეიძლება კარგია, მაგრამ ლიტერატურის პროცესები მათ არ იციან. მეტრეველი დამპირდა, თქვენს აზრს გავიზიარებო, მაგრამ წიგნის ბაზრობებზე მაინც იგივე ხალხი მიჰყავთ. კულტურის მინისტრი, წიგნის პალატის მუშაობაში, ალბათ, უფრო მეტად უნდა ჩაერიოს. იცით, როგორ იბეჭდება იქ, მწერლების ნაწარმოებები? მოგეხსენებათ, რომ ახალგაზრდებმა ინტერნეტი კარგად იციან, რისი მეშვეობითაც ნახულობენ გამომცემლობებს გერმანიაში, საფრანგეთში და ა.შ. შემდეგ, მათ ეუბნებიან: გამოაგზავნეთ წერილი კულტურის სამინისტროში, რომ გინდათ ჩვენი წიგნის თარგმნაო. მართლაც მოდის წერილი უცხოეთიდან და ნაწილს ისინი აფინანსებენ, ნაწილს — 70%-ს კულტურის სამინისტრო. მერე, იქ, წიგნის პრეზენტაცია ხდება. საერთოდ, ეს წიგნები იქაურ მაღაზიებში არ შედის იმიტომ, რომ თუ იმ სამყაროსთვის, სივრცისთვის, ქვეყნისთვის ცნობილი არ ხარ, კერძო მაღაზიაში არაცნობად მწერალს არავინ დადებს. მათ ეს წიგნები უკან, საქართველოში მოაქვთ და აქ, ისე აშუქებენ, თითქოს მათზე ფრანკფურტში ან სადმე სხვაგან დიდი მოთხოვნაა. არ არსებობს არავითარი სახელმწიფო პოლიტიკა თუ რომელი მწერლის შემოქმედება უნდა ითარგმნოს ევროპის ამა თუ იმ ქვეყანაში. ეს საკითხი თვითინიციატივაზეა მიშვებული, რაშიც კულტურის სამინისტრომ უფრო მეტი პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს. წიგნის პალატას ჰგონია, რომ თანამედროვე მწერლები ისინი არიან, ვინც დღეს, ასეთ უზნეო ტექსტებს წერენ.

**— „მწერალთა კავშირი“ რას აკეთებს ამ დროს?**

— მწერალთა კავშირი არასამთავრობო ორგანიზაციაა, პროფესიული ნიშნით გაერთიანებულ თანამოაზრეთა ერთობა. იმ არასამთავრობოებს, რომლებიც დასავლეთიდან, ევროპიდან თუ ამერიკიდან ფინანსდებიან მეტი საშუალება აქვთ, რაც არ გააჩნია „მწერალთა კავშირს“. მას სახელმწიფო არ აფინანსებს. იგი ფინანსდებოდა 2003 წლამდე, მერე „ნაცებმა“ დაფინანსება შეწყვიტეს. სამწუხაროა, როცა სამკაციანი პარტიები, რომლებიც 100 კაცს ვერ შეკრებენ, ფინანსდებიან. მწერლობა კი უპატრონოდაა მიგდებული.

**— მაგრამ, თუნდაც, ეს აღვირახსნილობა რომ გააპროტესტოთ, ან ამ თემებზე იმსჯელოთ, იკამათოთ, ამას დაფინანსება რად უნდა?**

— ტელევიზიები, ვისაც ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება აქვს, ანუ ჩვენ, არ გვიკარებენ. საქმეც ამაშია, რომ ტელევიზიები მთელ იდეოლოგიას სახელმწიფოს მასშტაბით მართავენ. ჩვენ გვაქვს მხოლოდ იმის საშუალება, რომ „მწერალთა კავშირში“ ჩავატაროთ ღონისძიებები — წიგნების პრეზენტაციები, საიუბილეო საღამოები, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# თვითმხილველი მოგვითხრობს...



## თუ ეს პროვოკაცია იყო, რატომ ემზადებოდნენ „ნაციონალები“ 2008 წლის აგვისტოს ომისთვის სამი თვით ადრე?

„საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებულ სტატიას „ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ, სააკაშვილი კი ბიძიან-ნათესავებიანად, კგბ-დან მოდის?!“, სადაც 2008 წლის ომის შესახებაც იყო საუბარი, გორელი **ტარიელ თოდაძე** გამოეხმაურა. იგი იმ პერიოდში თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ავტობაზის უფროსი იყო და თავად არის შემსწრე ბევრი ფაქტის, რაც ამ ომს უკავშირდება.

ტარიელ თოდაძე: 2008 წლის 14 აგვისტოს, კახა ლომაია მობრძანდა გორში. თურმე მას მანამდე ტელეფონითაც ესაუბრებოდა რუსი გენერალი ბორისოვი და იქაც უთხრა, ქრისტიანები არ ხართ, ორი დღეა გეხვეწები, რომ გადმოასვენოთ ცხინვალიდან დაღუპული ქართველი ჯარისკაცები, ცხედრებს ღორები და ძაღლები ჭამენო. ლომაიას პასუხმა, ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცითო ისე გამამწარა, რომ ძლივს გამაჩერეს, შევეკამათე და ვაგინე, ხმა არ ამოუღია, ჩახტა მანქანაში და გაიქცა. მასთან ერთად მეორე ჯიპიც იყო, ვიღაცა სათვალიანმა კაცმა დააპირა იქიდან გადმოსვლა, მაგრამ ეტყობა ამ შელაპარაკების გამო გადაიფიქრა. ვიცანი, საკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია იყო. ბორისოვმა მხარზე ხელი დამარტყა და ქართულად მითხრა, ნუ გეშინია ბიჭო, ყველაფერი კარგად იქნებაო. მერე გავიგე, ბორისოვს გორის რუსული სკოლა ჰქონია დამთავრებული, მამამისი გორის სატანკო ნაწილში მსახურობდაო. ლომაიასთან ინციდენტი და ბორისოვის ეს სიტყვები დაიმახსოვრეს ნაციონალებმა, სხვა მხრივაც არ მოსწონდათ ჩემი საქციელი, მოგვიანებით ყველაფერი გამიხსენეს და დამიჭირეს.

2008 წლის ომი 8 აგვისტოს კი არა, რამდენიმე დღით ადრე დაიწყო, რისთვისაც გაცილებით ადრე ემზადებოდნენ. სამხედრო ავტობაზის უფროსად 2008 წლის 1 მაისს დავინიშნე, რამდენიმე თანამშრომელიც ავიყვანე, რომ სამხედრო ავტომანქანები და ჯავშანტექნიკა დაგვეცვა. 15 მაისიდან აქტიურად დაიწყო ბაზაში ავტომანქანებისა და ტექნიკის სარემონტოდ შემოყვანა. მე აფხაზეთისა და ცხინვალის ომების მონაწილე ვარ, ამიტომ მაშინვე გამიჩნდა ეჭვი, მთლად კარგად არ იყო საქმე. ტრისტან წითელაშვილი ჩემი მეგობარია, თან მაშინ ჩემი უშუალო უფროსი იყო, ამიტომ ტელეფონით დავუკავშირდი, სამასახურიდან უნდა წავიდე, სააკაშვილი მგონი, ომს იწყებს, ჩემს თანამშრომლებს ვერ ჩავახოცინებ-თქო. ტრისტანმა დამამშვიდა, საშიშროება არ არსებობს, ძალიან გთხოვ, მუშაობა გააგრძელეო. თურმე ჩვენი სატელეფონო საუბარი ისმინებოდა, გორის წვენების ქარხნის (ეს ქარხანა ნაცების „ბულბულის“ ნინა წკრიალაშვილის მამას ეკუთვნის) ეზოში სპეცავტომანქანა ყავდათ გაჩერებული, რომელიც 30 კილომეტრის რადიუსში სატელეფონო საუბრებს ისმენდა. სხვათა შორის, ვანო მერაბიშვილი სულ იქ იჯდა, განსაკუთრებით ომის დღეებში, იქ იყვნენ უგულავა, კარბელაშვილი, ბოკერია და სხვა „ნაცელიტარები, ფაქტობრივად ეს ჯგუფი იყო ომის მწარმოებელი „გენერალიტეტი“. იქვე სასტუმროც აქვს ზურაბ წკრიალაშვილს, სადაც ცხოვრობდნენ ეს „დიდი სტრატეგები“. ერთ დღეს ორი მძიმედ დატვირთული დიდი ავტომანქანა შემოვიდა ბაზის ტერიტორიაზე, რომლებიც დახურულ შენობაში გააჩერეს. ავტომანქანებს თბილისიდან გამყოლი ახლდა, რომელმაც გამაფრთხილა, ავტომანქანებისთვის დღე და ღამე თვალი არ მოგვეცილებინა. დამაინტერესა რა ტვირთი იყო, დავათვალიერე და აღმოჩნდა, რომ ორივე ავტომანქანის ძარა ტროტილით იყო სავსე. მეორე დღეს ამ გამყოლს ვუთხარი, მოეშორებინათ იქიდან ეს ავტომანქანები, ჩვენი ბაზა წისქვილკომბინატის სიახლოვეს იყო, საიდანაც მთელი შიდა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი მარაგდება ფქვილით, ვუთხარი, ეს ტროტილი რომ აფეთქდეს, მარტო წისქვილკომბინატს კი არა, მთელ გორს დაანგრევს. თუ როკის გვირაბის ასაფეთქებლად გინდათ, ამას მაინც ვერ შეძლებთ და ხალხს ნუ გაწირავთ-თქო. ჯერ კიდევ სამაჩაბლოს პირველი არეულობის დროს მყავდა ჩამოყვანილი უკრაინიდან სამხედრო სპეციალისტი, მანქანით რომ გავატარე როკის გვირაბში, მითხრა, ამ გვირაბის აფეთქება გამორიცხულია, რადგან აქ ვაკუუმს ვერ შექმნით კედლებზე არსებული ე.წ. კარმუშკების გამო, თანაც ზემოდან კლდის უზარმაზარი მასაო. ეს ყველაფერი მოვუყევი იმ თბილისელს, ჩვენი საუბრის შემდეგ გაიყვანეს ტროტილით დატვირთული მანქანები, ამ კაცს ყველაფერი მოუხსენებია ხელმძღვანელობისთვის, ამის შემდეგ საბოლოოდ ამიყვანეს მეთვალყურეობის ქვეშ. ივნისის მიწურულიდან გორის პოლიციის თანამშრომლები დადიოდნენ ხეობის ზემო სოფლებში და მოსახლეობას აფრთხილებდნენ, ვისაც იარაღი გაქვთ ჩაგვაბარეთ, თორემ მალე რუსები შემოვლენ და ვისაც იარაღს აღმოგიჩენენ, დაგხოცავენო, „გაფრთხილებულთაგან“ რამდენიმეს პირადად ვესაუბრე და მათაც დაადასტურეს ეს ინფორმაცია. ცხინვალის პოლიციის განყოფილებაზე მიმაგრებულ თანამშრომელს, რომელიც ვიცოდი „მწარე“ ნაციონალი იყო, ვკითხე, რატომ აშინებდნენ ხალხს რუსების შემოსვლით, რატომ უნდა შემოსულიყვნენ რუსები, თუ ხელისუფლება ომისთვის არ ემზადებოდა. ცხადია, ეს ამბავიც მივიდა ხელისუფლების ყურამდე, სხვა „ცოდვებიც“ გამიხსენეს და 25 აგვისტოს ათამდე ავტომატიანი პოლიციელი დამადგა თავზე, დამაპატიმრეს, სასტიკად მცემეს და მაწამეს, საათობით ვყავდი ფეხებით დაკიდებული, არც „დუბინკებითა“ და წიხლებით ცემა დაუკლიათ. მაიძულებდნენ ხელი მომეწერა „აღიარებით“ ჩვენებაზე, ტექსტი თვითონვე შეადგინეს, რომ თითქოს ხელისუფლების დამხობას ვგეგმავდით.

ქალაქში ხმები დადიოდა, რომ 1 და 2 აგვისტოს გორის ყველა ბანკიდან (8 თუ 10 ბანკი იყო მაშინ) მთლიანად გაიტანეს ფული, ოქროს ნივთები, დოკუმენტაცია და თბილისში წაიღეს, ბანკებს ერთი ოპერაციაც აღარ უწარმოებიათ. ინფორმაცია შიგნიდან ჟონავდა, გორი პატარა ქალაქია, ყველა ერთმანეთს იცნობს, ამიტომ მაშინვე ხდებოდა ცნობილი ყველაფერი. მეც ეს ინფორმაცია ერთ-ერთი ბანკის ინკასატორმა მითხრა. თუ ომს არ გეგმავდნენ, მაშინ რატომ გაზიდეს ყველაფერი ფასეული თბილისში? ან რატომ შეიტანეს გორის სამხედრო ჰოსპიტალში ორი ავტომანქანით 3.000 ცალზე მეტი მიცვალებულის ჩასასვენებელი ე.წ. ტომრები. ყვითელი ავტობუსებით შემოიყვანეს რეზერვისტები, რომელთა გადაადგილების მარშრუტსაც აქტიურად აშუქებდნენ ტელევიზიები, გეგონება სპეციალურად აძლევდნენ მოწინააღმდეგეს ინფორმაციას, რომ დაებომბათ. შემოყარეს ზონდერებიც, რომლებსაც არაფერი ეტყობოდათ რომ საბრძოლველად იყვნენ ჩამოსული.

რაც მაშინ ხდებოდა, ეს არ იყო კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მცდელობა, როგორც ამის გასაღებას ცდილობდნენ ნაციონალები. ეს არ იყო ომი, ეს იყო მიხეილ სააკაშვილის პიარისთვის და დიდი ფულის საშოვნელად მოწყობილი ოპერაცია, რასაც უამრავი ადამიანი შეეწირა, მათ შორის, მშვიდობიანი მოსახლეობა. როგორც შევატყე, რაც უფრო მეტი იქნებოდა მსხვერპლი, მით უკეთესი ნაციონალებისთვის.

რუსებმა იცოდნენ, რომ უფლისციხის ბაზაზე უამრა-







ვი იარაღი და საბრძოლო მასალა იყო, მაგრამ უშუალოდ ბაზა არ დაუბომბავთ, შორი ახლოს ჩამოაგდეს ბომბი. ომის და შემდგომ დღეებში, როცა იქ რუსი ჯარისკაცები იდგნენ, მე გორი ერთი დღითაც არ დამიტოვებია, მათ იქაურებისთვის ერთი აუგი სიტყვა არ უკადრებიათ. ტელეფონების ნომრები ჰქონდათ გამოკრული, რომ თუ მოსახლეობას რაიმე პრობლემა შეექმნებოდა სამხედროებისგან თუ სხვა პირებისგან, მოგეხსენებათ, მაშინ ჩრდილო კავკასიიდან იყვნენ გადმოსულები საყაჩაღოდ, მაშინვე დაკავშირებოდნენ ამ ტელეფონებზე და ყველას პასუხს აგებინებდნენ. რუსმა სამხედროებმა ორი კაზაკი დახვრიტეს ადგილზე, რომლებსაც გორში სახლის გაძარცვა უნდოდათ, მესამე კაზაკი დააპატიმრეს და მერე როგორც გავიგე, ისიც დაუხვრეტიათ. ეს, რაც უტყუარად ვიცი. სტალინის სახლმუზეუმთან ჩამოვარდა ერთი ბომბი, რაც ვფიქრობ, რუსებს არ უსვრიათ, რადგან სამხრეთიდან, ატენის ხეობის მხრიდან იყო ნასროლი. ეს აშკარად ეტყობოდა ჩამოვარდნილ ბომბს, ეს რომ ვუთხარი ქართველ ოფიცერს, მეორე დილას ბომბი იქ აღარ იყო, ორმოც ასფალტით ამოევსოთ. ეტყობა ღამე იმუშავეს და კვალი მოსპეს. მთელმა შიდა ქართლმა იცის, 5 აგვისტოს „გრადები“ რომ გაისროლეს გორის მხრიდან, ერთი ბომბი კარალეთში ჩამოვარდა და 5 წლის გოგონა იმსხვერპლა, თუმცა ეს ფაქტი დამალეს. იმ დროს ერთი მამაკაციც დაიჭრა, რომელსაც ვითომ უმკურნალეს, მაგრამ დღესაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. კარალეთელები დაადასტურებენ ამ ამბავს, მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ ვანო მერაბიშვილმა გააჩუმა დაღუპული ბავშვის მშობლები, ფულის საშუალებით მოხდა ეს თუ დააშინეს, რა მნიშვნელობა აქვს. ნაციონალებს რომ აწყობდათ, მსხვერპლი რაც შეიძლება მეტი ყოფილიყო, ის ფაქტიც მოწმობს, რომ ლიახვის ხეობის სოფლებიდან გამოქცეულ ხალხს ახალაიები, „მასტერა“, გოგი თათუხაშვილი, გია უჩავა და ძმანი მათნი აიძულებდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ, საშიში არაფერიაო, არადა 58-ე არმია და ჩრდილოკავკასიელი ყაჩაღები უკვე შემოსულები იყვნენ როკის გვირაბიდან. ტრისტან წითელაშვილმა მთხოვა ხალხს გამოსვლაში დავხმარებოდი, რომელთა უმეტესობაც ფეხით მოდიოდა. ტირძნისიდან ერედვში მოკლე გზა გადმოდის, იქ ვიყავი ასული ჩემი ხალხით და საკუთარი თვალით ვნახე, როგორ არ უშვებდნენ სოფლელებს გორისკენ წამოსულიყვნენ. პირველად მაშინ ვნახე გოგი თათუხაშვილი, უჩავას მანამდეც ვიცნობდი და ვიცი რასაც წარმოადგენს. ჯერ ზვიად გამსახურდიას როგორ მოექცა და ახლაც აგრძელებდა ავკაცობას, თუმცა ბურჯანაძე-ბიწაძის წყვილმა გვერდით დაიყენა. ბოლოს ამათაც უღალატა უჩავამ, არადა მანამდე გავაფრთხილე ბადრი ბიწაძე, რომ უჩავას ნდობა არ შეიძლებოდა. ხალხის მიმართ ასეთი უსულგულო დამოკიდებულების გამოც მომიწია „ნაცბობოლებთან“ დაპირისპირება, რაც ჩემი მხრიდან „უპატიებელი ცოდვა“ ყოფილა.

ეს არ იყო ომი, ეს ნაციონალების მხრიდან ომობანას თამაში იყო, რასაც ჩვენი საჯიშე ბიჭები შეეწირნენ. ახლაც დადის გორში ხმები, რომ სააკაშვილს დროშები და ტრიბუნა ჰქონდა ჩამოტანილი, ცხინვალში საზეიმო მიტინგის მოსაწყობად. სასმელ-საჭმელიც ჰქონიათ ჩამოტანილი „გამარჯვების“ აღსანიშნავი ბანკეტისთვის. გაიხსენეთ სააკაშვილის ტრაბახი, როკის გვირაბამდე მივედით, ჯავას და ცხინვალს ვაკონტროლებთო, სინამდვილეში ყველაფერი სიცრუე იყო, ცხინვალში პედაგოგიურ ინსტიტუმდე კი მივიდნენ, მაგრამ მერე უკან მოუხედავად გამოიქცნენ. ოსებმა 27 და 28 ივლისს დაიწყეს ცხინვალიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვანა, ავტობუსებით წაიყვანეს ეს ხალხი ორჯონიკიძეში (ვლადიკავკაზი), ე.ი. წინასწარ იცოდნენ, ომი რომ უნდა დაწყებულიყო. მოგვიანებით ყაზბეგში შემხვდა ცხინვალელი ნაცნობი, საუბარში მითხრა, ჩვენ ერთი თვით ადრე ვიცოდით სააკაშვილს ომი რომ უნდა დაეწყოო. ხელმძღვანელობისგან მიტოვებული ჯარისკაცები დეზერტირებად და მოღალატეებად გამოაცხადეს და ციხეში გამოამწყვდიეს. ე.წ. გენერალს, ბატონ კალანდაძეს კი ჩინ-მედლები უბოძეს და გმირად გამოაცხადეს. ალბათ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც წაგებულ ომში მავანთ გმირის ტიტულს ანიჭებდნენ, ხოლო სამარცხვინოდ წაგებული ომის შემდეგ ისეთი ზეიმი და ცეკვა-თამაში გავმართეთ, თითქოს ამ ომში ჩვენ კი არა ჩვენი მოწინააღმდეგე დამარცხებულიყოს. წარმოიდგინეთ, ისეთი არეულობა იყო, ქართველები ქართველებს ესროდნენ. ხელისუფლების უცოდინარობას და მოღალატეობრივ პოლიტიკას შეეწირა უამრავი ახალგაზრდა, რომლებიც წინასწარ წაგებულ ომში ჩაითრიეს. ისეთ მძლავრ სამხედრო ძალას როცა უპირისპირდები, როგორიც რუსეთია, ან სრული უწიგნური ხარ, ან მოღალატე.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24





## წარწერა პატრიარქის სურათზე

*მინავლული მელოცავს ფრაქი,*
*ჩაქრა ალმასი და ფარჩა,*
*მარტო დარჩა პატრიარქი,*
*საქართველოს მარტო დარჩა.*

*ზოგი იქით, ზოგი — აქით,*
*ზოგს შვება და ზოგსაც ტანჯვა.*
*მარტო დარჩა პატრიარქი,*
*საქართველოს მარტო დარჩა.*

*ცხოვნდეს იგი, სამშობლოსთვის*
*ვინც ბოლომდე დაიხარჯა.*
*მარტო დარჩა პატრიარქი,*
*საქართველოს მარტო დარჩა.*

*ღმერთო, მარტო დარჩენილობს*
*არ მოაკლო შენი გარჯა.*
*მარტო დარჩა პატრიარქი,*
*საქართველოს მარტო დარჩა.*

**ვახტანგ ხარჩილავა**

# დენდროლოგიური პარკი – ერთიანი ფიქრის სამყარო...

ოზურგეთში წვერმაღალასა და შეკვეთილის ტერიტორიაზე ბატონი ბიძინა ივანიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მიმდინარეობს დენდროლოგიური პარკის გაშენება. ამ გასაოცარი პარკის მოსაწყობად საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან და თემიდან გადააქვთ უზარმაზარი ხე-მცენარეები. მათ შორის საუკუნეებს გადაცდენილი გიგანტური ხეები, როგორც ჩვენში იტყვიან – მერქნოსნები. „ქართუ ჯგუფის“ წარმომადგენლების მხრიდან არაერთგზის გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზემოთხსენებულ პარკში 60-მდე ხე-გიგანტის გადარგვა იგეგმება, აქედან მხოლოდ 5 პროცენტამდე – ერთეული სახელმწიფოსგან იქნება შესყიდული, დანარჩენი 95 პროცენტი კი – კერძო პირებისგან. სხვადასხვა ალაგიდან გადმოფესვებული, თითქმის ტოლ-ასაკიანი ხეები, რომელთაც მრავალი რამ უხილავთ ათეულობით წლების გადასახედიდან, ერთიანად ულამაზეს ზღვისპირეთში მოიყრიან თავს და ერთიანი ფიქრით შესწვდებიან ცასა და ხმელეთს, ზღვასა და სატალღეთს... ნეტავი მას, ვისაც ძალუძს ამ საუბრების და ჩურჩულის მოსმენა, მათი შრიალით სულის ტკბობა. სადა გვყავს ჩვენი ვაჟა- ფშაველა, მესაიდუმლე ხეთა და ბალახთა, ყვავილთა და ფრინველ- ნადირთა... ან კიდევ – ხოგაის მინდი, გველისმჭამელის სიბრძნითა და გულმისნობით ზეადამიანურ საოცრებათა შემსმენელი?!.

ჩვენთან, ჭალიპირის სანახიდან უზარმაზარი, ადრე სიცოცხლით აჩქროლებული, ამ-ბოლოს კი წყენამორეული ცაცხვი გადაამზევეს. ჭაობიან, წუნწუხ ალაგს საავადოდ მოეჭყლურთა ფესვი და მერქანი, ცას მიწვართული გიგანტისა, ჭლექმოკიდებულივით ჩამოეყარა ფრთები, ტკივილმოძალებულს სოკოები დაჰყროდა ატკივილებულ ტანზე, ალაგ-ალაგ ტოტები და კეწეწები შეხმობოდა კიდეც. დაღონებულ პატრონს, აბა, რა უნდა ეწამლა ამოდენა ხისთვის, ან რა გაეგებოდა მისი წამლობისა? გული წყდებოდა, მაგრამ თავს ზემოდ ძალა არ იყო. ეგ ჩაილაპარაკა მხოლოდ: ოთხი საწნახელი გამოვა და დანარჩენი შეშად გამომადგებაო. ხეს ესმის ადამიანისა, თქმა თქმაა და მისი არც ფიქრი გამოეპარება და არც მიზანი. ახეda ზეცას, დაიწყო შეუსვენებლივი ჩურჩული და ვედრება უფლისადმი, გადმომხედე, გამჩენო, და მისაშველეო... ჰოდა, მოხდა სასწაული, შეისმინა თითქოს უფალმა ვედრება ესე, გამოჩნდნენ ღვთისნიერი ადამიანები, ესაშველა ხესაც და პატრონსაც, რომელსაც მეტად დიდი თანხა გადაუხადეს, დიდი შრომითა და თანამედროვე ტექნიკის წყალობით მიუძირყოფეს უზარმაზარ ცაცხვს და საგანგებოდ შემოყვანილი ბეტონის გზით, რომელიც ასე სჭირდებოდა სოფელს, ზღვისკენ წაასვენეს და ბარჟით მიაყენეს წვერმაღალასა და შეკვეთილის ნაპირს. ასე აღმოჩნდა ჭალისპირის ცაცხვი ძმათა სამყოფლოში, შეყვარებულების სავანეში.



მალევე მოვინახულე, არ ვიცი, ნიადაგთან შეგუებამ დამართა თუ გარემოს შეცვლამ, ნაღვლიანი მეჩვენა, გულსაწყენად დუმდა. ორი კვირის თავზე ისევ მივაკითხე, გაოგნებული დავრჩი, სიცოცხლე და ხალისი დაბრუნებოდა, მიწაში იმედიანად ჩაჯიჯგვულიყო და საამოდ შრიალებდა.

საოცრებაა ხე. მით უფრო გიგანტური, ის სამყაროს ერთსახეს ქმნის და ბევრ რამეზე გაფიქრებს ადამიანს...

დედაქალაქში გვაქვს დენდროლოგიის პარკი, რომელიც 1956 წელს ცნობილი მეცნიერისა და მკვლევარის იოსებ ჩოდრიშვილის იდეითა და ცეკას მაშინდელი მდივნის, მართლაც გამორჩეული კაცის ვასილ მჟავანაძის უშუალო მხარდაჭერით აშენდა. თავდაპირველად, პარკი 250 ჰექარზე იყო განაშენიანებული, მოგვიანებით მიემატა 50 ჰა ტერიტორია უნიკალური ხე- მცენარეებითა და შესაბამისი მოწყობილობებით, ინფრასტრუქტურითა და სამეცნიერო დაწესებულებით. მაგრამ, როგორც სხვა ეროვნულად საყურადღებო და მნიშვნელოვანი ცენტრები, სააკაშვილის „ნაც-ხელისუფლების“ მიერ, 2006 წელს, თბილისის დენდროლოგირი პარკი გაუქმდა, შესაბამისად, შეუწყდა ყოველგვარი მეთვალყურეობა და დაფინანსება. ხოლო გაუქმებულ და უპატრონოდ, უკაცრავად პასუხია და, მიგდებულ ამ ულამაზეს სივრცეს რა მსახვრალი კვალიც დაეტყო – ყველას კარგად გვახსოვს. ამ დროს ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა შეისყიდა ტერიტორია, გაწმინდა, დაასუფთავა, გააკულტურა გაველურებულ-გაჯაგებული ადგილები და საშვილიშვილო, სამერმისო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. კეთილი და ეროვნული საქმეების კეთება ამ ცამაღალი კაცისგან რა გასაკვირია, მაგრამ მადლიერების გამოხატვა თვით უფალსაც მატებს შუქსა და ძალას. **ასევე დიდი მადლობით და პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ სამეგრელოში „ქართუ ჯგუფის“ წარმომადგენლები, რამეთუ მათი ზრდილობიანი, მაღალზნეობრივი და კეთილგულოვანი დამოკიდებულება ჩვენი რეგიონის მოსახლეობისადმი ნამდვილად ყურადღებისა და განსაკუთრებულად აღნიშვნას იმსახურებს.** ხალხი იმედით ელის მათ გამოჩენას, საქმდებიან სოლიდური ანაზღაურებით ადგილობრივები, რემონტდება და უმეტესწილად, ახლიდან კეთდება გზები, შუკები, ეწყობა სკვერები, სათამაშო მოედნები, სხვადასხვა შენობები და.ა.შ. ფინანსური დახმარება ეწევა შეჭირვებულთ, ავადმყოფთ და კიდევ მრავალი რამ. ასევე, გადაძირებულ-გადარგული ხის პატრონები იღებენ მეტად სოლიდურ თანხას!.. ყოველ კეთილ საქმეს გამოუჩნდება მაწყევარი და ბოროტად მოშხირალი, რომლებიც თავიანთი ვიწრო მერკანტილური ინტერესისა და პოლიტიკური შეხედულებების გამო – ყოველივე კარგსა და სამომავლოს უპირისპირდებიან! ასე ხდება ამ შემთხვევაშიც, მაგრამ უფლისგან კურთხეული საქმე არ შეიძლება შეყოვნდეს და დამარცხდეს. ერთი რამის მეშინია მხოლოდ, ადამიანური უმადურების უსაშინლესმა ნაღველმა, ასე რომ წალეკა და გაანადგურა ბევრი რამ, არ მოსპოს სიკეთის ქმნის ულვთიურესი წადილი. ხეები დენდროლოგიურ პარკში შრიალებენ და ქრშიალებენ... ასე იქნება მერმის, მაშინაც, როცა ჩვენ ცოცხლები არ ვიქნებით და ამ ქვეყანაზე, უფლის ნებით, უშურველი, ჩვენზე უკეთესი ქართველები იქნებიან!..



**ლაშა გვასალია**
ზუგდიდი

# ადამიანი, რომელიც ქუჩაში დანით შეიარაღებული დადის, პოტენციური მკვლელია

## გვესაუბრება ადვოკატი გრიგოლ გაბნიძე



**— ბატონო გრიგოლ, თქვენი აზრით, რატომ ხდება ამდენი დანაშაული, რომელიც მჭრელი იარაღით, დანით არის ჩადენილი?**

— ბოლო პერიოდში სისხლის სამართლის ბევრი დანაშაული მოხდა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ცივ იარაღს. ამას თავისი გამამართლებელი თუ პირუკუ მიზეზები აქვს. დავიწყოთ იმ გარემოებით, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არის სოციალური სიდუხჭირის პირობები. ამასთან, ჩართეთ, ბატონო,. ჩვენი ტელევიზიების ნებისმიერი არხი, სადაც ნახავთ ფილმებს, რომელშიც მოჭარბებული დოზით არის ძალადობის, უზნეობის თუ სხვა მსგავსი სცენები. ამას უყურებს მომავალი თაობა. ყველა მშობელს არ აქვს საშუალება, აკონტროლოს თავისი შვილის მიზნები, მისწრაფებები. გვინდა თუ არა, ძალადობის პროპაგანდას თავისი შედეგი მოაქვს. აბა, წარმოიდგინეთ, რას ისწავლის



ჩვენი მომავალი თაობა, როდესაც ტელევიზიებით მუდამ ძალადობის პროპაგანდა ხდება?

**— კარგი, დავუშვათ, გარკვეულწილად, დამნაშავე საზოგადოებაც არის, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტებს, როდესაც იგივე ცივი იარაღით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი არსებობს.**

— სამწუხაროა, მაგრამ მსგავსი ფაქტები ჯერ კიდევ ე.წ. კომუნისტური პერიოდიდან არსებობდა. მართალია, იმ პერიოდში და საერთოდაც, საქართველოში დანის ან მჭრელი იარაღის გამოყენება სირცხვილად ითვლებოდა. ამიტომაც იყო სტატისტიკურად მკვლელობების რაოდენობა მცირე, მხედველობაში ცივი იარაღით ჩადენილი დანაშაული მაქვს. აქედან გამომდინარე, მინდა გითხრათ, რომ კანონმდებლობის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის, საზოგადოების როლს ჩვენს ცხოვრებაში. თავდაპირველად ოჯახმა, მშობლებმა უნდა აღზარდონ პიროვნება.

თანამედროვე ცხოვრებაში რატომღაც პირველ პლანზე წამოვიდა იგივე ცივი იარაღით თავდაცვა. შეიძლება ყოველივე არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას დავუკავშიროთ, მაგრამ ეს გარემოების გამამართლებელი არ გახლავთ. თუმცა ნებისმიერი ადამიანი ცდილობს საკუთარი თავის დამკვიდრებას ცხოვრებაში, ზოგიერთი — ამ ფორმითაც.

**— ბატონო გრიგოლ, წლების წინ ცივი იარაღის ტარებაზე გარკვეული სასჯელი არსებობდა. ახლა?**

— ნაცმოძრაობის მმართველობის პერიოდში კანონმდებლობაში მრავალი ცვლილება განხორციელდა. ერთ-ერთი ცივი იარაღის შეძენა-მოხმარებას ეხებოდა. სამწუხაროდ, მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა, თითქმის იგივე კანონებით ვცხოვრობთ. დანის ან ნებისმიერი მჭრელი, ბასრი იარაღის შეძენა, ჩვენდა სამწუხაროდ, ნებისმიერ ჩვენგანს, თუნდაც იგივე არასრულწლოვანს, თავისუფლად შეუძლია.

**— სწორედ ეგ მინდოდა მეკითხა: ნუთუ შესაძლებელია ნებისმიერი ბასრი იარაღის, რომელიც ადამიანის სიცოცხლისთვის სახიფათოა, უპრობლემოდ შეძენა?**

— სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ასეა.

**— კარგი, ბატონო გრიგოლ, მაგრამ თუ არსებობს შეზღუდვა (მხედველობაში გვაქვს კანომდებლობა) ცივი იარაღის შეძენა-ტარებაზე?**

— კანონმდებლობის დეტალურ განმარტებაზე ამჯერად თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ გეტყვით — 19–21 წლის ახალგაზრდებს ეკრძალებათ ცივი იარაღის შეძენა-შენახვა. ამასთან, თუ პიროვნება ნასამართლევია მძიმე დანაშაულისთვის და ცივი იარაღი აღმოაჩნდება, კანონით აგებს პასუხს.

დანაშაულის აღსაკვეთად, იგივე ახალგაზრდობის მორალური შეგნების ამაღლებისთვის აუცილებელია ოჯახის, სკოლის, ინსტიტუტის გააქტიურება. გიმეორებთ, ნებისმიერ ქართულ არხზე, ძირითადად, ძალადობრივი მოქმედებების ფილმებს თუ სერიალებს გვიჩვენებენ. მოზარდი კი, მოგეხსენებათ, სათუთია — რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს.

**— კი, მაგრამ, საქართველოში განუკითხავად იყიდება ნებისმიერი ცივი იარაღი. ჩვენი კანონმდებლობით არის თუ არა განსაზღვრული, რომელი საგანი ითვლება ცივ იარაღად და რომელი ყოველდღიურ, საყოფაცხოვრებო ნივთად?**

— სამწუხაროდ, მართალი ხართ, თავისუფალი ვაჭრობა ერთია, მაგრამ, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ყველა ფაქტორი. თუმცა გაგიმეორებთ, რომ თუ პიროვნებას გადაწყვეტილი აქვს დანაშაულის ჩადენა, ძნელია მისი შეჩერება. რაც შეეხება დიფერენციაციას, რომელი იარაღია ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში და რომელი არა, სამწუხაროდ, ამ საკითხში ჯერ კიდევ ნაცმოძრაობის დროინდელი კანონებით ვხელმძღვანელობთ.

**— კი, მაგრამ უბრალო ჯაყვის, ან ბებუთის და ხანჯლის მქონე პიროვნება ერთნაირად უნდა განიხილებოდეს?**

— სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ამის დიფერენციაცია ჩვენს კანონმდებლობაში ჯერ კიდევ გარკვეულად, ნათლად არ გვაქვს ჩამოყალიბებული. სამართალდამცავთა მოქმედების ერთ-ერთ ბარიერს სწორედ ეს გარემოებაც წარმოადგენს.

**— ბატონო გრიგოლ, დავუბრუნდეთ ცივი იარაღით ვაჭრობის საკითხს. საქართველოს ნებისმიერ კუთხეში იყიდება არათუ დასაკეცი დანები, იგივე ჯაყვები, არამედ ბებუთები, ხანჯლები, რომლითაც დათვის მოკვლაც კი შეიძლება. ეს სამართლიანია?**

— გეთანხმებით, სამწუხარო რეალობაა. როგორც უფლებადამცველი, ვაჭრობის, ბიზნესის შეზღუდვის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ ვარ. თუმცა გეთანხმებით და მეც იმის მომხრე ვარ, რომ იარაღი, თუნდაც ცივი, ლიცენზიის მფლობელებმა გაყიდონ. ამით თავიდან ავიცილებთ ნებისმიერ გაუგებრობას აქვე დავამატებ, რომ ნებისმიერი ცივი იარაღის გაყიდვა არასარულწლოვანებზე სასტიკად უნდა აიკრძალოს და საჯარიმო სანქციებიც უნდა დააწესოს ჩვენმა საკანონმდებლო ორგანომ.

**— კიდევ ერთი — შარშან რუსთავის ერთ-ერთ სკოლაში მოსწავლეს მანდატურებმა ელექტროშოკი აღმოუჩინეს. მინდა გკითხოთ, რა სახის იარაღია ელექტროშოკი და შეიძლება თუ არა მისი ბაზრობაზე თავისუფლად გაყიდვა. მოწაფის თქმით, მან ელექტროშოკი ლილოს ბაზრობაზე თავისუფლად შეიძინა.**

— საერთოდ, ელექტროშოკი სამართალდამცველთა სპეცტექნიკას განეკუთვნება. მისი საჯაროდ გაყიდვა ყოვლად დაუშვებელია. აღნიშნული იარაღი ნებისმიერი ადამიანისთვის ადვილი შესაძლებელია, სასიკვდილოც აღმოჩნდეს. ამ იარაღს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები უკიდურეს შემთხვევაში იყენებენ. ფაქტით სპეცსამსახურების წარმომადგენლები უნდა დაინტერესდნენ და თუ მართლაც საჯაროდ იყიდება აღნიშნული იარაღი, სათანადო ზომებიც უნდა მიიღონ.

**— ბატონო გრიგოლ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ უფლებადამცველი ხართ, როგორც ვხედავთ, კანონმდებლობის გამკაცრებას ემხრობით.**

— ამის გარეშე ჩვენ ვერანაირ დემოკრატიულ ქვეყანას ვერ შევქმნით. ამასთან, გასათვალისწინებელია ჩვენი წარსული. როგორც ვთქვით, წლების წინ დანის, ხანჯლის უმიზეზოდ გამოყენება მკრეხელობად ითვლებოდა. ვის ვის და, თქვენ მაინც უნდა გახსოვდეთ, რომ ხევსურეთში „კეჭნაობისას“ თუ ზომაზე მეტ ჭრილობას მიაყენებდა მოპაექრე, ჭრილობაში რამდენი ხორბლის მარცვალიც ჩაეტეოდა, იმდენ მსხვილფეხა საქონელს იხდიდა დამნაშავე. აქედან გამომდინარე, ახლაც გასამკაცრებელია კანონმდებლობა. ყოველივე ეს სულაც არ გახლავთ ვინმეს უფლების შეზღუდვა, პირიქით, ამით ჩვენ სახელმწიფოებრიობას გავამყარებთ.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# შეკითხვა: „ჰაუ დუ იუ დუ, მისტერ ტრამპ?“ – კვლავაც უპასუხოდ დარჩა

## როგორია „მეტისმეტად სტაბილური გენიოსის“ ჯამნრთელობა?



**მელორ სტურუა:**

ეს მოსალოდნელი იყო:

როგორია პრეზიდენტ ტრამპის სამედიცინო გამოკვლევის შედეგები

„პრეზიდენტი ტრამპი, ჩვენი მთავარსარდალი, გამუდმებით სვამს დიეტურ „კოკა-კოლას“, მიირთმევს ნაღების ნაყინს და წითელ ხორცის ნაჭრებს. დღე-ღამის განმავლობაში სძინავს ხუთი საათი. მისი ფიზიკური აქტივობა შემოიფარგლება გოლფის სათამაშო ეტლით სიარულით“, — ასე აღწერენ თეთრი სახლის თანამშრომლები თავიანთი პატრონის სიცოცხლისუნარიანობას. მაგრამ ეს, ცხადია, არ არის ექიმის დიაგნოზი.

წინა კვირას ესკულაპებმა გამოკვლევა ჩაუტარეს ტრამპს, რომელიც ახლა 71 წლის არის. ეს იყო მისი ყოველმხრივი სამედიცინო გამოკვლევა მას შემდეგ, რაც ის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა. მანამდე, 2016 წელს, ტრამპის ექიმები ამტკიცებდნენ, რომ ის „იგი ყველაზე ჯანმრთელია მათ შორის, ვინც ოდესმე ქვეყნის პრეზიდენტად აურჩევიათ“.

ბოლო გამოკვლევის შემდეგ მჯდომარე ცხოვრების წესი აისახა ტრამპის წონაზე, რაც თვალნათლივ ჩანს. საზოგადოებას უფრო მეტად აწუხებს ფსიქიკური მდგომარეობა ქვეყნის ლიდერისა, რომელიც საკუთარ თავს „მეტისმეტად სტაბილურ გენიოსს“ უწოდებს.

პრეზიდენტ ჯიმი კარტერის დროიდან მოყოლებული პრეზიდენტების სრულყოფილი სამედიცინო გამოკვლევები ტრადიციად იქცა, თუმცა ამ პროცედურებისთვის არანაირი მყარი და დაკანონებული წესები არ არსებობს, მათ შორის არც ექიმების საჯარო განცხადებები. ასე რომ, ყველაფერი თვითონ ტრამპზეა დამოკიდებული — რა დამალოს და რა გამოაცხადოს თავისი ჯანმრთელობის შესახებ. სიმართლე ითქვას, თეთრი სახლის პრესმდივანმა სარა ჰაკაბი სენდერსმა გამოკვლევების ჩატარებამდე ცოტა ხნით ადრე განაცხადა, რომ ახლანდელი პრეზიდენტის ექიმები ისევე მოიქცევიან, როგორც ობამას და ბუში-უმცროსის ექიმები: თავიანთი მაღალი თანამდებობის პირის სრული გამოკვლევის შემდეგ ისინი „ქალაქსა და სოფელს“ ამცნობდნენ მათ სიმაღლეს, წონას და ქოლესტერინის შედგენილობას. ბუშის ექიმი იტყობინებოდა, რომ „ეს პრეზიდენტი ხანდახან ეწევა სიგარას, რომ მისი „კუნთოვანი სხეულის მასა“ მატულობს. „კუნთოვანი მასა“ განსაკუთრებით მზარდი პრეზიდენტ კლინტონს ჰქონდა.

პრეზიდენტების სამედიცინო კვლევა, ჩვეულებრივ, აჩვენებდა მხოლოდ იმას, რაც თვითონ პრეზიდენტებს სურდათ. როგორც ამერიკული პრეზიდენტობის საკითხის მკვლევარი, ისტორიკოსი რობერტ დელეკი წერს, მსგავსი გამოკვლევების შედეგების მიმართ „საზოგადოების ინტერესი ნულის ტოლია“. არ სჯეროდა თეთრი სახლის გულწრფელობისა დელეკს, რომელიც ამბობდა: „საეჭვოა, თეთრმა სახლმა განაცხადოს იმის შესახებ, თუ რა დაუდგინეს გამოსაკვლევ პაციენტს ექიმებმა“. არცთუ დიდი ხნის წინ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ისტორიკოსმა თავადვე დასვა შეკითხვები: „იქნებიან კი ექიმები გულწრფელნი, თუკი პრეზიდენტს ჭკუასუსტობის ნიშნებს აღმოუჩენენ? ეტყვიან კი ისინი ამის შესახებ თვითონ პრეზიდენტს, ის კი ამას საზოგადოებას შეატყობინებს?“

ტრამპის სამედიცინო გამოკვლევები, ტრადიციის შესაბამისად, ჩაუტარდა ვაშინგტონის ახლოს, მერილენდის შტატის ეროვნულ სამხედრო-სამედიცინო ცენტრში.



გამოკვლევებს ხელმძღვანელობდა თეთრი სახლის ოფიციალური ექიმი, კონტრადმირალი რონი ჯექსონი, რომელმაც მანამდე გამოკვლევა ჩაუტარა ობამას და მონაწილეობდა პრეზიდენტ ბუშის საექიმო შემოწმების პროცესში.

დოქტორი ჯექსონი პრეზიდენტ ტრამპის პირადი ექიმი გახდა მაშინვე, როგორც კი მან თეთრი სახლის ზღურბლს გადააბიჯა. განვლილი წლის განმავლობაში იგი დიდ დროს ატარებდა ტრამპთან და საზღვარგარეთ მოგზაურობისას გამუდმებით თან დაჰყვებოდა.

ისტორიული გამოცდილების თანახმად, თეთრი სახლის ექიმები საზოგადოებას უმალავდნენ თავიანთი პაციენტების დაავადებებს. საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ პრეზიდენტ რუზველტს პოლიომიელიტი აწუხებდა, თუმცა ცოტამ თუ იცოდა მისი მაღალი წნევიანობის ამბავი, რამაც გამოიწვია რუზველტის სიკვდილი.

ტრამპის თეთრ სახლს არ გაუმჟღავნებია იმ ექიმ-სპეციალისტთა სახელები, რომლებმაც პრეზიდენტი გამოიკვლიეს. წინა პრეზიდენტებს ეს საიდუმლოდ არ გაუხდიათ.



ტრამპს ახასიათებს არამკაფიო მეტყველება, თუმცა უცნობია მისი წარმომავლობის მიზეზი. რა არის ეს — ნევრალგია თუ მეტყველების პათოლოგია. თეთრი სახლის პრესმდივანი ამას უბრალო ახსნას უძებნის: „პრეზიდენტს ხანდახან მშრალი ყელი აქვს და მეტი არაფერი“.

ფასტფუდით, ანუ ჰამბურგერებითა თუ სოსისებით გატაცება და ცხოვრების ეკლექტიკური წესი, ბუნებრივია, აისახება ტრამპის ჯანმრთელობაზე, მაგრამ საზოგადოებას უფრო მეტად აინტერესებს მისი ფსიქიკური მდგომარეობა. თეთრი სახლი დუმილს ამჯობინებს, როცა ჩნდება კითხვა — ჩაუტარდა თუ არა ტრამპს ფსიქიატრიული გამოკვლევა ყოველწლიური სამედიცინო შემოწმებისას?

1964 წელს ექიმებმა მიიღეს ეგრეთ წოდებული „გოლდუოტერის წესები“ (სენატორი გოლდუოტერი რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო). სენატორი ძალზე უცნაურად იქცეოდა, რაც მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე საფუძვლიან ეჭვებს აჩენდა. თუმცა ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ თავის წევრებს აუკრძალა, შეეფასებინათ გოლდუოტერის გონებრივი შესაძლებლობები მისი პირადად გამოკვლევის გარეშე.

2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ტრამპსაც და ჰილარი კლინტონსაც შესთავაზეს გაევლოთ გონებრივი შესაძლებლობების ტესტი. ეს იმისათვის გაკეთდა, რომ დაეცვათ ქვეყანა ისეთი პრეზიდენტისგან, რომელიც შეიძლება ავად გახდეს ჭკუასუსტობის ან ალცჰაიმერის დაავადებით (რაც რონალდ რეიგანს დაემართა). ორივე კანდიდატმა საბოტაჟი გამოუცხადა ამ ტესტებს.

„გასულ პარასკევს პრეზიდენტ ტრამპს ჩაუტარეს სამედიცინო გამოკვლევები. როგორც მოსალოდნელი იყო, ექიმებმა მისი ჯანმრთელობა „ბრწყინვალედ“ შეაფასეს“. „უოლტერ რიდის ეროვნულ სამხედრო-სამედიცინო ცენტრში პრეზიდენტის ფიზიკური კვლევა შესანიშნავად ჩატარდა, — განაცხადა თეთრი სახლის კონტრადმირალმა რონი ჯეკსონმა. — პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა საუცხოოა“ (რისი დამტკიცებაც საჭირო იყო).

დოქტორისა და კონტრადმირალის ოპტიმისტურ განცხადებაში არ ყოფილა არანაირი ინფორმაცია ისეთ საბაზო მახასიათებლებზეც კი, როგორიცაა პრეზიდენტის წონა, სისხლის წნევის მაჩვენებლები და ქოლესტერინის დონე. ექიმებს სიტყვაც კი არ დასცდენიათ, თუ რომელი ტესტით გამოიკვლიეს პრეზიდენტი ან რა წამლებს იღებს იგი. თეთრმა სახლმა კი განაცხადა, რომ ინფორმაციას გამოაცხადებდნენ სამშაბათის პრესკონფერენციაზე, რომელსაც ქალბატონი სენდერსი და დოქტორი ჯექსონი გეგმავდნენ.

ოფიციალური ცნობების თანახმად, კიდევ რამდენიმე დღე დასჭირდება ჩატარებული ტესტების დასრულებას (ტრამპი კი მაშინვე გაემგზავრა ფლორიდაში, პალმბიჩზე მდებარე თავის „ზამთრის თეთრ სახლში“ — მარ-ა-ლანგოში).

დღესდღეობით გაურკვეველია, ჩაუტარეს თუ არა ტრამპს გონებრივი შესაძლებლობების დასადგენი ტესტი, კოგნიტური და ნევრალგიური გამოკვლევები (ტრამპის გონებრივი შესაძლებლობების საკითხი მას შემდეგ გაჩნდა, რაც გამოიცა ვულფის წიგნი — მასში მოყვანილია თეთრი სახლის იმ თანამშრომელთა გამონათქვამები, რომლებიც უშუალოდ ურთიერთობენ ტრამპთან და ეს გამონათქვამებიც თითქოსდა ეჭვქვეშ აყენებს ამ შესაძლებლობებს). არაფერია ცნობილი, ტრენაჟორებზე გამოცდის შემდეგ როგორია მისი გულის მდგომარეობა.

2016 წლის არჩევნებამდე ტრამპის მაშინდელმა პირადმა ექიმმა ჰაროლდ ბორნსტინმა განაცხადა: „თუ ბატონ ტრამპს აირჩევენ, ის იქნება ყველაზე ჯანმრთელი ადამიანი, რომელიც ოდესმე აურჩევიათ პრეზიდენტად“. დოქტორ ბორნსტინის თქმით, „სრული სამედიცინო გამოკვლევების შედეგები მხოლოდ და მხოლოდ დადებითია. სისხლის წნევა და სხვა ლაბორატორიული კვლევების ტესტები შესანიშნავია“. „ნიუ-იორკ ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იგი ამბობდა, რომ ტრამპი იღებს ფინასტერიდის მცირე დოზებს გამელოტების საწინააღმდეგოდ. ახლანდელ დოქტორ ჯექსონს არ დაუზუსტებია, კვლავაც აგრძელებს თუ არა პრეზიდენტი ამ პრეპარატის მიღებას. თუ ტრამპის უცნაური ქოჩრით ვიმსჯელებთ, სავარაუდოდ აგრძელებს.

ასე რომ, შეკითხვა: „ჰაუ დუ იუ დუ, მისტერ ტრამპ?“ — კვლავაც უპასუხოდ დარჩა.



# „რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება“

## „ეროვნული ღირსების დარბაზი“ მუშაობას იწყებს



***„საერთო გაზეთს“ უსამართლობის მსხვერპლთა დაცვის სახალხო კომიტეტის ხელმძღვანელი, სახალხო ტრიბუნების პრეზიდენტი მამისა ჯაფარაშვილი ესაუბრა:***

– ჩვენს წინა ინტერვიუში გითხარით, რომ ჩვენი ორგანიზაცია შეუერთდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ეროვნული ღირსების დარბაზს“ შეუერთდა, სადაც უსამართლობის მსხვერპლთა კომიტეტს ვხელმძღვანელობ. მიმაჩნია, რომ სწორედ „ეროვნული ღირსების დარბაზია“ ძალა, რომელსაც ქართული საზოგადოება დიდი ხანია ელის. რამდენიმე დღის წინ დაფუძნდა და რეგისტრაცია გაიარა „უსამართლობის მსხვერპლთა ინტერესების დაცვის სახალხო ფონდმა“, რომლის მთავარი მიზანი უსამართლო რეჟიმების მსხვერპლთა ინტერესების დაცვაა. მიგვაჩნია, რომ მოსახლეობის ნაწილმა, რომელიც თავს უსამართლო რეჟიმის მსხვერპლად მიიჩნევს, იდეურად, მატერიალურად და ორგანიზაციულად უნდა მიიღოს მონაწილეობა საკუთარი პრობლემების მოგვარებაში. „ეროვნული ღირსების დარბაზის“ გადაწყვეტილებით, შეიქმნა წარმომადგენლობები აჭარაში, სამეგრელოში, გურიაში და იმერეთში, რომლის შემადგენლობა აღნიშნულ რეგიონებში არსებულ საგვარეულო კავშირებს ეყრდნობა. ამ ადამიანებს სურვილი აქვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რომ საგვარეულო მოძრაობა არის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ყველაზე ეფექტური ფორმა. სახელმწიფო გვარებისგან შედგება, ამიტომ ნებისმიერ გვარში მოიძებნებიან დაზარალებული ადამიანები და ვერც ერთი გვარი თავს ვერ დაიცავს, თუ საქართველომ განვითარების კურსი არ შეცვალა. ჩვენ ვაპირებთ საგვარეულო კავშირების ყრილობასთან ერთად, დიდი ეროვნული ყრილობის ჩატარებას, იმისთვის, რომ ხელისუფლებას ქვეყანაში არსებული, რეალური მდგომარეობა დავანახოთ.

**– იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რომელი კატეგორიის ადამიანებს მიიჩნევთ უსამართლო რეჟიმების მსხვერპლად და როგორ აპირებთ მათი უფლებების დაცვას?**

– საქართველოში მოსახლეობის 80–90% უსამართლო რეჟიმების მსხვერპლია. ესენი არიან მეანაბრეები, იპოთეკარები, პოლიტპატიმრები, იძულებით გადაადგილებული ემიგრანტები, სოციალურად დაუცველები და დაუძლურებულები, უმუშევრები, უსამართლო კანონებით და საბანკო და სამევახშეო სისტემით დაზარალებულები, პენსიონერები, ვეტერანები და ა.შ. დღეს თითქმის აღარავის ახსოვს მეანაბრეები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის დროს, შემნახველ სალაროებში შეტანილი დანაზოგი სახელმწიფომ წაართვა. მე ამას საუკუნის აფიორა დავარქვი. წვიმასა და ქარში ქუჩაში მჯდარი ბებიები მწვანილს რომ ყიდიან, სწორედ ის მეანაბრეები არიან, რომლებსაც სიბერისთვის გადანახული კაპიკები წაართვეს, პურის ფულის საშოვნელად ქუჩაში გამოსვლა აიძულეს და იქაც არ აჩერებენ. სწორედ ხალხისთვის წართმეული ფულით გაგვიხსნეს ხაზარაძეებმა და სხვებმა კომერციული ბანკები და ფულის შეტანა რომ დაგვაგვიანდეს, პროცენტებით სულს ამოგვხდიან. მეანაბრეების ფულის დაბრუნება კი წლები გადის და არავის ახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფული სახელმწიფოს შიდა ვალად აქვს აღიარებული.

**– სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდის მეანაბრეთა რაოდენობა მცირდება. დარჩენილებს კი საკუთარი ფულის დაბრუნების იმედი დიდი ხანია, გადაეწურათ..**

– დიახ, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა (მათ შორის მეანაბრეები) ყოველწლიურად მცირდება. მოგეხსენებათ, გაეროს მონაცემებით, 2050 წლისთვის მოსალოდნელია საქართველოს მოსახლეობის მილიონ 170 000 ადამიანით შემცირება და რაღაც თუ არ ვიღონეთ, დემოგრაფიულიკატასტროფა გვემუქრება. ხელისუფლება დღემდე ყიდის საბჭოთა პერიოდიდან დარჩენილ ფაბრიკა-ქარხნებს, მაგრამ მეანაბრეების ვალის გასტუმრება არავის გახსენებია. სამწუხაროდ, ჩვენ იმ სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეები ვართ, რომელმაც საკუთარ მოქალაქეს, რომელსაც ლარის ქურდობისთვის იჭერს, მთელი ცხოვრების დანაზოგი წაართვა და ამისთვის არავინ დასჯილა. ეს არის შევარდნაძის ხელისუფლების მიერ დაწყებული მიზანმიმართული პროგრამა, რომელმაც ხალხისთვის წართმეული ფულით ხალხის მძარცველი ბანკები შექმნა. აი, ამიტომ გვყავს 700 000 ემიგრანტი და ამიტომ იზრდება მათი რაოდენობა ყოველწლიურად. საბანკო სისტემამ საქართველო, როგორც სახელმწიფო ფაქტობრივად დაშალა. დაანგრია ოჯახები, დაავადა ხალხი.. ქვეყანაში არც ერთი სახელმწიფო ბანკი არ არსებობს, რადგან ხელისუფლება მოსახლეობასთან ვალშია და ამ ვალის დაბრუნება არ სურს. უცხოეთის მაგალითების მოყვანა რომ უყვართ, 2008 წელს ისლანდიაში განვითარებულ მოვლენებზე რატომ არავინ საუბრობს?

**– ისლანდიის „ჩუმი რევოლუცია“ იმდენად „ჩუმი“ აღმოჩნდა, რომ მსოფლიო მედიის ყურადღება ვერ მიიპყრო..**

– უბრალოდ, არ ახმოვანებენ, რომ მსოფლიოში პრეცენდენტი არ გაჩნდეს. დიახ, 2008 წელს ისლანდიაში მოხდა მშვიდობიანი რევოლუცია, რომლის დროსაც, ხალხმა მთავრობა გადააყენა და ბანკირებიც უკან მიაყოლა. ქვეყნის სამი მთავარი ბანკის ნაციონალიზაციის შემდეგ, ისლანდიამ



უარი თქვა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და ევროპის ბანკთან ურთიერთობაზე, იმიტომ, რომ სწორედ ამან მოსპო ქვეყნის ეკონომიკა. თუ ხელისუფლებას მაინცდამაინც უცხოეთის მაგალითები უნდა, ისლანდიის მაგალითზე გვესაუბროს. რეჟიმის მსხვერპლთა თემას დავუბრუნდები და გეტყვით, რომ საქართველოში პატიმრების 90% პოლიტპატიმრის სტატუსი უნდა ჰქონდეს, იმიტომ, რომ სწორედ ხელისუფლების პოლიტიკის წყალობით არის პატიმარი. მშიერი კაცი პურს რომ მოიპარავს და სამ წლიან ციხეს მიუსჯი, უნდა გახსოვდეს, რომ მშიერი შენი პოლიტიკის გამოა.

**– თუმცა, ყველა მშიერი არ იპარავს.. ხომ ასეა?**

– ღმერთმა დამიფაროს ქურდობა გავამართლო, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანები ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის გამო შიმშილობენ. იმ ევროპაში, ასე რომ მოწონთ, უმუშევარ ადამიანს უმუშევრობის კომპენსაცია ეძლევა და არაფრის მოპარვა არ უწევს. ჩვენთან ერი დამშეულია.. უსახლკაროები, სოციალურად დაუცველები, ემიგრანტები, რომლებსაც სამშობლოდან იძულებით გადაადგილებულს ვეძახი, ქვეყნის პოლიტიკის გამო დაზარალებულები არიან.

**– როგორც ვიცი, 21 იანვარს კასპში გამართულ აქციას შეუერთდით, სადაც „ჰაიდელბერგცემენტის“ ქარხნის მიერ ჩინელთა დასაქმება გააპროტესტეს.**

– მინდა სწორად გაიგონ. ჩვენ ჩინელებს კი არა, სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკას ვებრძვით. როცა კასპის მოსახლეობას დასაქმების პრობლემა აქვს და სამსახურის საძებნელად სხვა ქვეყანაში მიდის, ჩინეთიდან მუშების მასიურად ჩამოყვანა და კასპში დასაქმება დაუშვებელია. ახლა ჩინური კომპანია კასპში ახალი ცემენტის ქარხანას აშენებს, რომელსაც დღეს დასაქმებული მუშების 20%-იც არ ჭირდება. თანაც ახალ ქარხანაში 80% ჩინელი იმუშავებს. სწორედ ამას აპროტესტებს კასპის მოსახლეობა და ჩვენ მათ სამართლიან პროტესტს ვუერთდებით. კასპელების ნახევარზე მეტი უცხოეთშია სამუშაოდ გადახვეწილი და მათ ქალაქში სამუშაოდ ჩინელები ჩამოჰყავთ. გაერომ გადაშენების გზაზე მდგარი ქვეყნების ხუთეულში შეგვიყვანა და ამ დროს ქვეყანაში ისეთი ხალხი შემოგვყავს ლამის სინათლის სისწრაფით რომ მრავლდება. როცა ადგილობრივ მოსახლეობას მოწამლული და დაბინძურებული ჰაერის გარდა, სარგებელი არაფერი აქვს, ამას ინვესტიცია კი არა, კოლონიად ქცევა ქვია. იციით, რომ ცემენტის მტვრის გამო, ყველაზე მეტი სიმსივნით დაავადებული ადამიანი კასპში ცხოვრობს და ამ ადამიანებს მკურნალობის საშუალებაც არა აქვთ? დაავადებული ადამიანი რომ წამალს ვერ ყიდულობს, მსხვერპლი არაა? ჯანდაცვის სისტემაში რომ ფარმაკომაფია ყვავის, ეს კიდევ ცალკე თემაა..

მრავალი წელია, რაც ფარმაკოლოგიური მაფია, სადაზღვევო კომპანიები და საავადმყოფოები ავადმყოფებს ძარცვავენ და დღესაც არაფერი შეცვლილა. ამიტომ ვამბობ, რომ გარე მოვაჭრით დაწყებული, ავადმყოფით დამთავრებული, ამ ქვეყანაში ყველა დაზარალებულია. ადამიანი თუ ლიბერალურად არ აზროვნებს და სისტემის მონაწილე არაა, როგორი განათლებაც არ უნდა ჰქონდეს, უმუშევრობისთვის განწირულია. ახლა ბევრს საუბრობენ ოჯახში ძალადობაზე, რომელიც ასევე, სახელმწიფო პოლიტიკის შედეგია.

არსებული რეალობის შესაცვლელად, „ეროვნული ღირსების დარბაზს“ აქვს არსებული პრობლემების მოგვარების გზები, სამოქმედო გეგმა, ეკონომიკური და იდეოლოგიური პროგრამები. და ბოლოს, „ეროვნული ღირსების დარბაზი“ საზოგადოების აქტიურ ნაწილს მოუწოდებს, რომ მობრძანდნენ ჩვენთან და თავისი ახალი იდეებით მონაწილეობა მიიღონ ჩვენი მიზნებისა და ამოცანების განხორციელების საქმეში. ერთად გადავარჩინოთ საქართველო!

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# ფილოსოფოსი კასრში ვიცი მე და არა რეზიდენციაში, პრეზიდენტად

მე უკვე მერიდება. მას – არა.

არა და არ ჩერდება – პირიქით, მეტ და მეტ სისულელეს გვეუბნება, არ ვიცი, მართლა ასეთი მიკერძოებულია თუ უკვე მოგვერია და ბაბა უნდა დავუძახოთ...

არა, ფილოსოფოსი ღვინის ცარიელ კასრში უნდა იჯდეს, სხვაგვარად არ გამოდის, არ უხდება ფილოსოფოსს რეზიდენცია.

გვეუბნება – ვეუბნებით პასუხს, გვიხსნის და უფრო მეტად იხლართება, პასუხი მაინც არ მოსწონს: – რა თქვესო, რაო? კიდევ რამე თქვეს ჩემზეო? – ისე ჩაეძია ჟურნალისტს, მგონი რეზიდენციის შუაგულში ღვინის ცარიელი კასრი უდგას და იქაა მოკალათებული...

მზეს ხომ არ ვეფარებით, ბატონო პრეზიდენტო?

ახლა ახალი გასართობი იპოვა – შეწყალების აქტი წყალობააო — აიჩემა, იურიდიულ საფუძვლებთან რა შეხება აქვს, ხომ არ გადაირიეთ, ემოციურად მიღებული წყალობააო.

მაშინ რა საჭიროა 2014 წლის 27 მარტს გამოსული მისივე ბრძანებულება შეწყალების წესის შესახებ? წესიც ჰქონია შეწყალებას, ასე მთლად უწესოდ ემოციური არ ყოფილა. მთლად წყალობა არ ყოფილა შეწყალების აქტი?

ყველა საქმეს გავეცანი დაწვრილებით, ყველა საქმის ფაბულა ვიციო. წვრილმანებზე საუბარი ამორალობა და სიბინძურე მგონიაო – ეჰ, წვრილმანებს არ შეიცავს ფაბულა და იმიტომ, არც ემოციას შეიცავს ფაბულა, მეგონა ფაბულის განმარტება მაინც გეცოდინებოდათ.

შეწყალების კომისიის ხელფასებისთვის 2014–2016 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 110 ათასი გამოიყო. იმის გათვალისწინებით, რომ კომისია 11 წევრისგან შედგება და ამ 11 წევრს წელიწადში რამდენიმე დღით უწევს მუშაობა, ცოტა არ უნდა იყოს, მაგრამ ინტელექტუალური და ემოციური შრომა დიდ ენერგიას მოითხოვს და შეერგოთ.

მაგალითად, ამჯერად 8 კალენდარული დღის მანძილზე იმუშავეს, ამ რვა კალენდარულ დღეში შაბათკვირა მოხვდა და დარჩა 6 სამუშაო დღე. ხოდა, ამ 6 სამუშაო დღეში 1406 საქმე განიხილეს. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დღეში 12 საათს იმუშავებდნენ მხოლოდ ერთსაათიანი შესვენებით – თითო საქმის განსახილველად 20 წუთი დარჩებოდათ – გენიოსი უნდა იყო 20 წუთში საქმის ფაბულასაც გაეცნო, გაითავისო კიდეც, როგორც პრეზიდენტი ითავისებდა და იტანჯებოდა და ემოციის ხმასაც უნდა დაუგდო ყური – არ არის ახლა ეს გენიოსობა და ყოვლისშემძლეობა? ხოდა, გენიოსს კარგი ანაზღაურება სჭირდება. ასე სად არის, საზოგადოებრივი საქმის კეთებაც უნდა ანაზღაურდეს, რატომაც არა, მართალია, სახელმწიფო ხშირად გვთხოვს მოხალისეობას, ხეების დარგვაში, მაგალითად, მაგრამ გენიოსებს მოხალისეობას ხომ ვერ მოსთხოვ, უხერხულია.

ის იყო, კომისიის წევრების შრომაზე დარდმა შემომიტია, რომ ჩემი პრეზიდენტის ახალი ბრძნება გამახსენდა, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ კომისიის გადაწყვეტილება უფლებამოსილად ჩაითვლება, თუ სხდომას წევრთა ორი მესამედი ესწრება. 11 კაცის ორი მესამედის შრომაც ჩასათვლელია, ანუ და შეენაცვლებით, ალბათ, ერთმანეთს – ამოვისუნთქე.

ბაბა, ბატონო პრეზიდენტო, ბაბა და ნუღარ გვტორავ.

მზესაც ხომ არ დავეფარეთ?! არ მოგერიდოთ თქმა.

ქართველები აგრესიულები ვართ და პირველთან ბრძოლა გვიყვარს, პირველს სულ ვემტერებითო – ჩემი პირველი! არქაული საზოგადოება გაიხსენა იქვე – მეფე მოვკლათ, მეფე შევჭამოთ – ამბობდნენო.

ლუკმად არ გვეყოფოდით მეგონა, იყო დრო და ყელზე დაგვადექით.

კიდევ კარგი, არქაული საზოგადოების მეფე არ ხართ – თორემ თქვენი ძვლებისგან ასხმული ყელსაბამი ეკეთებოდა ახლა რომელიმე არქაულ მეფეს.

რა შეგჭამეთ ისე, მართლა და მართლა, რას გადაგეკიდეთ, რას გერჩით?

ჩვენი ჭკვიანი პრეზიდენტი – სააკაშვილს არ შევიწყალებ მეო.

არ შევიწყალებ, რადგან სააკაშვილი სახლის ქურდობისთვის უნდა გაესამართლებინათ და ავარიისთვის ან მანქანის გატაცებისთვის გაასამართლესო. სააკაშვილი განა მართალია, განა დამნაშავე არ არის, მაგრამ სამართლებრივად ის სასამართლოს მსხვერპლია და მე ეგლა მაკლია სასამართლოს შეცდომები ვასწოროო.



ვერ დავთვლი, რამდენჯერ მკითხეს უცხოეთში ვიზიტებზე, თქვენს პრეზიდენტს მართლა პიჯაკების გამო ასამართლებთო?

ისა და, ბატონო პრეზიდენტო, მართლა ვერ დათვლით რამდენჯერ ხართ უცხოეთში შეხვედრებზე ნამყოფი თუ სიტყვაზე თქვით? ეტყობა ჩუმად დადიხართ, რა ვიცი.

ხოდა, ისევ სააკაშვილს რომ დავუბრუნდეთ, არასწორად გაასამართლეს, სისხლის სამართალში არ არის აღწერილი შეწყალების ბოროტად გამოყენებაო – და ქრთამი ხომ არის აღწერილი, ბატონო პრეზიდენტო, ან თაღლითობა?

და შიში თუ არის აღწერილი ნეტავი სისხლის სამართალში?

ასე რამ შეგაშინათ, ბატონო პრეზიდენტო, აკი, ეს წლებია არ გაგხსენებიათ სააკაშვილის დანაშაულებანი – ახლა რომ თავს ისაწყლებთ, იმ დანაშაულისთვის ვერ გავასამართლეთ, რაც ეკუთვნოდაო – ეს წლები რატომ იყავით ჩუმად, რას აკეთებდით, ბატონო პრეზიდენტო? – ა, ხო, ბოკერიასთან ვახშამით იყავით დაკავებული, მერაბიშვილის საკნის კარი არ მოგწონდათ თუ ფანჯარა, მდიდრულ სექსს არ იკლებდით და იმ გუნდის ლანძღვით იოხებდით სექსიდან სექსამდე გულს, რომელმა გუნდმაც რეზიდენციაში დაგსვათ.

იმისი ხომ არ შეგეშინდათ, ბატონო პრეზიდენტო, რომ თქვენც მოგთხოვენ პასუხს შეწყალების უფლების ასე ხელგაშლილად გამოყენების გამო?

ახლა ვერც სააკაშვილის შეწყალება გაბედეთ, ხალხის რისხვის შეგეშინდათ, მაგრამ მეგობარ არხზე წახვედით იმის მოსაყოლად: -სააკაშვილი იმიტომ არ შეიწყალეთ, რომ მართალია, ცუდი ბიჭი და ცუდი პრეზიდენტი იყო, ებრძოდით კიდეც, მაგრამ, მართალია და ტყუილად მიუსაჯეს.

გისმენთ და ისე გაზრდილხართ, ბატონო პრეზიდენტო, ისე შეცვლილხართ – მე ასე გადავწყვიტე და ვისაც ჩემი გადაწყვეტილება არ მოსწონს, დაე, თავად მოვიდეს პრეზიდენტად და თავისი გადაწყვეტილებები მიიღოს, მე საზოგადოების მიზანშეწონილობის მიხედვით არ განვიხილავ საქმეებსო.

აბა, რის მიხედვით განიხილავთ, ბატონო? პირადი მიზანშეწონილობის მიხედვით?

პრეზიდენტად მოვიდეთ, თორემ თქვენ ხომ სულ თქვენით მოხვედით, აი.

ეტყობა, არ არის ის ღვინის კასრი ცარიელი, რომელშიც ზიხართ ხოლმე, თორემ საიდან მეხსიერების ასე ჩავარდნა?

მე რომ მეგონა შეწყალების კომისია იმის მიხედვით იწყალებდა ადამიანებს, არიან თუ არა საშიში საზოგადოებისთვის – საზოგადოების მიზანშეწონილობას არც სცნობთ, თურმე.

ბაბა ხომ დაგიძახეთ უკვე, ნუღარ მტორავთ, ბატონო პრეზიდენტო!.

მშიშარა ჰგონიხართ ვიღაცეებს, რაკი ჯერ ვეტოს დაადებთ კანონს ან კონსტიტუციას, მერე კი ხელს აწერთო, – შეჰბედა ჟურნალისტმა.

ვის, ვის ვგონივარ მშიშარა, ვის, აბა, მითხარი – გაუფართოვა უშიშარი თვალები... გაოცებამ.

ტეხავს, რომ არ მოვაწერო ხელი, ისინი რას იტყვიან ევროპაში, რას იტყვიან და ამერიკა რას იფიქრებსო?

რას იტყვიან და: ეს კიდეც ჭრის და კიდეც კერავსო; ამისი არც უარი დაიჯერება და არც თანხმობაო; ეს ვეტოზეც ხელს აწერს და ვეტოდადებულ კონსტიტუციაზეცო; ეს, ნეტა, მართლა ყველაფერზე ხელის მომწერიაო?

კონსტიტუციის განხილვაში მონაწილეობა რომ არ მიიღო და კომისიამ მაინც, მის გარეშეც რომ გააგრძელა მუშაობა, გულზე მოხვედრია ჩვენს პირველს, უჩემოდ ისე გააგრძელეს მუშაობა, არც დაინტერესდნენ, რატომ არ მივდიოდი განხილვებზეო. არადა, განხილვებზე იმიტომ არ მივედი, რომ სადაც ჯდები, იქ დაჯდომის და ადგომის წესები უნდა იყოს მისაღებიო.

პრეზიდენტად დაჯდომის წესები ხომ იყო მისაღები, ბატონო პრეზიდენტო?

ასე მესმის და მე ვარ პრეზიდენტი, თქვენ კი არაო.

აქა ზის და სხვაგვარად არ ძალუმს.

ნარკოპოლიტიკაზეც გაგვანათლა – ამდენი წელია ნარკომანებს ციხეში ვსვამთ და რა შეიცვალაო? გამოსწორდნენო? ვეღარ უნდა მივხვდეთ, რომ ეს მეთოდი არ ჭრისო?

უფრო მეტი წელია ქურდობისთვის და მკვლელობისთვის ვსვამთ ციხეში და არც მაგ მხრივ შეცვლილა არაფერი, ისევ ქურდობენ და კლავენ და არც მანდ ჭრის ხომ მეთოდი, ბატონო პრეზიდენტო?

კომუნისტების დრო აღარ არის, ბულბულები რომ ისხდნენ ციხეებშიო – ამ ფრაზამ „თეთრი ბაირაღები“ გამახსენა: „დილა მშვიდობისა, ქურდებო! დილა მშვიდობისა, ყაჩაღებო! დილა მშვიდობისა გათახსირებულებო, მექრთამეებო, სპეკულანტებო, გამფლანგველებო, აფერისტებო... ადექით, თორემ გაკეთდა ქვეყანა.“

დილა მშვიდობისა, ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პირველო; დილა მშვიდობისა, სამართლიანობის უსამართლო მეფეო; დილა მშვიდობისა, ნარკომანების მფარველო ანგელოზო; დილა მშვიდობისა, ჩემო უშიშარო რაინდო მშიშარა გულით; დილა მშვიდობისა ჭრა-კერვის უბადლო სპეციალისტო; დილა მშვიდობისა ვეტოსდამდებო და ვეტოსდამკიდებელო!! ადექით, ადექით, თორემ დაიქცა ქვეყანა!

არ მიწყინოთ, ბატონო პრეზიდენტო, ბაბა ხომ დაგიძახეთ უკვე, ნუღარ დამტორავთ.

და მაინც, ფილოსოფოსი ვიცი მე ღვინის ცარიელ კასრში და არა რეზიდენციაში.

მზეს თუ ვინმე დაეფარება არა ? — მე მითხარით!

თამო კუჭელავა
555 46 08 04



# საქართველოს ორი ბასიანი

რამდენიმე დღის წინ ჟურნალისტმა ნინო კვაჭანტირაძემ თავის ფბ-გვერდიდან საზოგადოებას მოუწოდა: „მივმართავ ყველას – დედებს, მამებს, ჩინიანებს და უჩინოებს, ექიმებს, კანონმდებლებს, ტელევიზიებს და საინფორმაციო საშუალებებს!!! ბოლო ერთი თვეა ყოველდღე სასწაულების მსმენელი და მნახველი ვარ, დააკვირდით ქუჩებში როგორი დაბოლილ-გამოშტერებული სიფათები დაბორიალობს, ნახეთ რა ხდება კლუბებში და ბარებში, იმ დღეს 15 წლის გოგოს კრიჭა შეეკრა და მოსაწევვი იმსხვერპლებდა, „გამოცდილ" ადამიანებს დახმარება რომ არ გაეწიათ, გადაამოწმეთ სასწრაფო დახმარება რამდენ გამოძახებაზე გადის მოსაწევით „დაშოკილთა" დასახმარებლად, ნახეთ, რამდენი ახალგაზრდა აკითხავს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრებს სუიციდის მტანჯველი განცდებისგან თავის დასაღწევად.. გუშინ სულ გადავირიე, ჩემი ახლობლის უახლოეს და უსაყვარლეს გოგოს (გო-გოს) ვკითხე – სიგარეტს ხომ არ ეწევი მეთქი და წათამამებულად მიპასუხა- სიგარეტს არა, მაგრამ კარგ მოსაწევს კიოო... და რა არის ეს, რა გვჭირს, ვინ შეგვაგუა იმას, რომ ეს უბრალო გართობაა და სხვა არაფერი... ხმა ამოიღონ რეპროდუქტოლოგებმა, ფსიქიატრებმა, ფსიქოლოგებმა, თქვან რომ ეს უბედურებაა და ამით გადაშენება იწყება, რომ თუ ასე გაგრძელდა, ამის შედეგი ძალიან მალე დადგება და ავდმყოფ თაობას მივიღებთ, ეს აშკარად ვიღაცის მზაკვრული გეგმაა და ვერ გაგვიგია"...



... რვა საუკუნის შემდეგ, „ბასიანის ბრძოლის უკვდავსაყოფად" თბილისში, ღრმად მიწისქვეშ ღამის კლუბი „ბასიანი" გაიხსნა. ცნობილმა გამოცემამ **W magazine** „ბასიანი" მსოფლიოში ყველაზე ბნელ მიწისქვეშა კლუბად დაასახელა. იმისთვის, რომ ცნობილი ღამის კლუბი ეპოვა ამერიკელ ჟურნალისტს, საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა და ბოლოს ადგილს ტექნომუსიკის ხმებით მიაგნო. ჟურნალისტი წერს, რომ დინამოს სტადიონის მიწისქვეშეთში მოსახვედრად, საკმაოდ გრძელი დერეფნის გავლა დასჭირდა, მისი თქმით – კლუბმა ძალიან დადებითი იმიჯი შეიქმნა და გარდა ამისა, სახელი მთელ მსოფლიოშიც გაითქვა. როგორც ცნობილია, ხშირად ბევრი დიჯეი „ბასიანზე" დასაკრავად ისე ჩადის, რომ საქართველოზე წარმოდგენაც კი არ აქვს და რომ არა ღამის კლუბი, ალბათ თბილისში არც არასდროს ჩავიდოდა. საქართველოზე წარმოდგენის არმქონეს მის ისტორიაზე და კლუბის სახელობის ბრძოლაზეც, რომ არ ექნება წარმოდგენა ფაქტია. ვფიქრობ, ძველ და ახალ „ბასიანს"შორის არის რაღაც საკრალური კავშირი, რატომ? აი რას წერს კლუბიდან გამოსული „რაინდი" – „ამ მონუმენტურ, ბეტონის გიგანტურ, ბნელ სივრცეს, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები – 1.500 ადამიანს იტევს, გაფაციცებით ვათვალიერებ. (შედარებისთვის, მსოფლიოში ცნობილი კლუბების დიდი ნაწილის ტევადობა ხშირად 800 ადამიანს არ სცდება ხოლმე). შიგადაშიგ ბეტონის შავბნელ კედლებსა და ჭერზე ასხლეტილ განათების სხივებს მივყვები და ვხვდები, რომ ალკოჰოლითა და ნარკოტიკული საშუალებებით გაბუჟებული ჩემი სხეული, ფეხის გულებიდან იწყებს დათბობას. ეს სითბო, ბეტონის იატაკიდან ტყვიებივით გამოსროლილი უმძიმესი ბასების ვიბრაციით მთელ სხეულს ედება და ვბრუვდები. სხეულის შიგნიდან მფეთქავი არანორმალური ენერგია, მგონია, რომ თანდათან გამომანგრევს და სისხლისა და ოფლის უკანასკნელ წვეთს აქ დავტოვებ. ეს ყოფილა ბასიანი!"

თანამედროვე „ბასიანის გმირი" აღფრთოვანებული მოგვითხრობს მიწისქვეშეთში განცდილი გრძნობის შესახებ - „ბასიანზე თითქმის ვერავინ გხედავს. არ ფიქრობ, როგორ გამოიყურები, რა გაცვია, როგორ ცეკვავ, რამდენად ძვირადღირებული საათი გიკეთია. გულითაც რომ გინდოდეს, ძნელია გაიპრანჭო და ძნელია, იყო ყალბი. ყველაზე ჩაძაბული ბაბულიკები და ყველაზე თავაშვებული გეებიც კი ერთმანეთის თვალწინ ვერთობით და ერთმანეთს ბედნიერებას ვაცდით".



* * *

13 იანვარს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით „ფეისბუქზე" პოსტი გამოაქვეყნა კლუბ „ბასიანის" დამფუძნებელმა ნაჯა ორაშვილმა. მისი ინფორმაციით, ახალგაზრდამ დაცვის წევრები და პოლიციის თანამშრომელი იმის გამო დაჭრა, რომ მას კლუბში შესვლაზე უარი უთხრეს. პოლიციის თანამშრომელი სარწმუნო წყაროს ცნობით ფორმის გარეშე ყოფილა, ალბათ ან კლუბური ცხოვრება მოსწონს და ან განსაკუთრებულ დავალებით იმყოფებოდა ტერიტორიაზე. ასევე წყაროს ცნობით დაკავებული ახალგაზრდა არ ყოფილა კონფლიქტის დაწყების ინიციატორი და ჩხუბი სწორედ დაცვის თანამშრომელს დაუწყია და ორ კაცს ათზე მეტი დაცვის თანამშრომელი „ეხანჯლავებოდა" ბოლოს. „დანაშავესაც" არ აკლდა სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები, თუმცა აღნიშნულის შესახებ „ბასიანელებს"კრინტიც არ დაუძრავთ, არც იმ მიზეზის შესახებ რამ უნდა აიძულოს ახალგაზრდა, სამი კაცი დაჭრას...სამაგიეროდ სოციალურ ქსელში რამოდენიმე დღე აქტიურად იხილებოდა აღნიშნული „ბრძოლა". ის, რომ აღნიშნულ კლუბში ნარკოტიკი იყიდება არახალია, არც ისაა ახალი, რომ რამოდენიმე ახალგაზრდა საიქიოდან მოაბრუნეს. „შავი სექსუალური" ოთახის შესახებაც გვსმენია, მაგრამ ზუსტი ინფორმაცია ვინ ან რა გამანადგურებელი ძალა დგას, მტრის ბუნაგის უკან უცნობია...მართალია „ბასიანელებმა" უარყვეს ინფორმაცია მათ „სამფლობელოში" ნარკოტიკების ყიდვა, გაყიდვა, მოხმარების შესახებ, მაგრამ „აფეთქებულ"სოციალურ ქსელს რასაკვირველია მათი ცრემლების არ ჯერა. აი როგორ ეხმაურებიან სოციალურ ქსელში „ბასიანის" მიმართ ბრალდებას- „ევროპაში ვცხოვრობდი გარკვეული პერიოდი და იქ თინეიჯერებისთვის გასართობად საკლუბო თემა არც თუ ისე უცხოა, ამავე დროს, არც ისეთი გარყვნილი ატმოსფეროა როგორც აქ, საქართველოში დამხვდა. ქართველებმა ზომა-წონა არ ვიცით, ან კიდევ ვის გაკვირვებას ვცდილობთ? ამ ბასიანს მთავრობისგან მწვანე აქვს ანთებული. ყველამ კარგად იცის, რომ იქ შეუზღუდავად ვრცელდება საკლუბო ნარკოტიკები და არამარტო, ასევე იქედან გამოსულ თრობის მდგომარეობაში მყოფ ადამიანებსაც არ იჭერენ... რაც შეეხება თვითონ კლუბს, ნამდვილად ვერ ვიტყვი რომ ნორმალური ხალხიც არ დადის... და ბოლოს, იქ ხალხი საკუთარი შინაგანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიდის. ვის მუსიკა და ცეკვა უნდა, ვის ნარკოტიკი და ვის კიდევ სექსუალური თავგადასავალი. ასე რომ, ყველას ერთ ქვაბში ნამდვილად ვერ მოვხარშავ... დიდი აჟიოტაჟია ატეხილი კლუბ „ბასიანის" მისამართით. სიმართლე გითხრათ, მე მხოლოდ ორჯერ ვარ ნამყოფი ამ კლუბში და გავრცელებული ხმები ნარკოტიკების მოხმარებასა და გარყვნილებაზე სრულ სიმართლეს შეესაბამება".



– ისე ამათ თავი როგორ გავუყადროთ?!. „სხვა მწვავე მათი საწინააღმდეგო პოსტებიც უამრავია, მაგრამ „გული ამიჩუყა"კლუბ „ბასიანის" წარმომადგენლის ნაჯა ორაშვილის განცხადებამ, რომელიც როგორც ირკვევა „ერთ-ერთი შეტევის" შემდეგ „გამოაცხო" პოსტის სახით – „როდესაც ქვეყანამ უმნიშვნელოვანეს წინსვლას – ვიზალიბერალიზაციას მიაღწია, ამ დროს რეგრესული ძალების მსგავსი პროვოკაციული და ფორსირებული თავდასხმა, არამხოლოდ საკლუბო სფეროს აყენებს ზიანს, არამედ საფრთხეს უქმნის ქვეყნის მოპოვებულ წარმატებას და ზოგადად სვლას ევროპული ღირებულებებისკენ". აღნიშნულ განცხადება კლუბის დამფუძნებლებ-მფლობელების აღიარებითი ჩვენებაა და არც დიდ ანალიზს საჭიროებს. ცხადია, „დაბოლილებს" და „დაშტერებულებს" წინ ნაჯა თუ არ წაგვიძღვა, ისე ევროკავშირში ვინ მიგვიღებს?! სხვა თემაა რატომ ან ვინ მონათლა „ბასიანად" მიწისქვეშ ბნელი კლუბი, ალბათ იმან ვინც დღემდე ვერ მოინელა ბასიანში ქართველების ბრწყინვალე გამარჯვება და დღეს მათი დამარცხება განადგურებით (თან ქართველების დახმარებით) ხალისობს!



**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# ალო, ტაქსი!!!

## ტაქსია თუ ოთხ ბორბალზე შემდგარი საქათმე?!

ტაქსს ვაჩერებ, უკანა სავარძელში ვჯდები და მძღოლს ოპერის თეატრთან მიყვანას ვთხოვ.

ასიოდე მეტრი გავიარეთ, უცებ მძღოლი მომიტრიალდა და ცოტათი დარცხვენილი მეუბნება: — არ ვიცი, უფროსო, სად არის ოპერის თეატრი და იქნებ მითხრათ, რა გზით წავიდეო.

იმდენად მოულოდნელი იყო მძღოლის ნათქვამი, ვიფიქრე, ხომ არ მეხუმრება-მეთქი, თუმცა გაურკვეველი სიტუაციიდან ისევ მძღოლის დამატებითმა ახსნა-განმარტებამ გამომიყვანა: — ზესტაფონიდან ვარ, ერთი კვირაა, რაც „ტაქსაობა“ დავიწყე და ბოდიშს გიხდით, ქალაქს კარგად არ ვიცნობო.

— კი, მაგრამ ოპერის თეატრი როგორ არ იცი, შე დალოცვილო. რუსთაველის პროსპექტი ხომ იცი? — ვკითხე გაბრაზებულმა.

— რუსთაველის პროსპექტი როგორ არ ვიცი, — იწყინა მძღოლმა. — ჰოდა, რუსთაველზეა ოპერის თეატრი, ერთი ოპერის თეატრი გვაქვს საქართველოში და არ უნდა იცოდე? — ვუსაყვედურე მძღოლს.

— კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, ბატონო... აწი მეცოდინება. — ისეთი ხმით მითხრა, შემეცოდა.



ეს ამბავი ერთ ტაქსის მძღოლს ვუამბე — ასე და ასე, შენმა კოლეგამ ოპერის თეატრი არ იცოდა-მეთქი.

— მაგ თემასთან დაკავშირებით უარეს ამბავს გეტყვიო, — მომიგო მძღოლმა.

ამაზე უარესი რაღა იქნება-მეთქი? — გავიკვირვე.

— ბირჟაზე ვდგავართ ტაქსები და კლიენტებს ველოდებით. ერთი კოხტად ჩაცმული, შუახნის ქალბატონი მოვიდა და ჩემს წინ მდგარი მანქანის მძღოლს რაღაცას ელაპარაკება.

უცებ ქალბატონი მთელი ხმით აყვირდა: — მე შენ ვინ გგონივარ, შე გარყვნილო, ბოზი და გათახსირებული სახლში გეყოლება, შე უნამუსოო, — უკივლა მძღოლს, კარი მთელი ძალით მიუჯახუნა და ჩემსკენ წამოვიდა.

— დაბრძანდით ქალბატონო-მეთქი და კარი გავუღე.

ქალი დაჯდა, მაგრამ იმდენად იყო ანერვიულებული, ვერა და ვერ დაწყნარდა. — მე მაგას ვინ ვგონივარ, მაგ თავხედს და უზრდელს. ეს რა მაკადრა, მაგ გათახსირებულმაო, — იძახდა გამწარებული.

— მაინც, რა გაკადრათ ასეთი? — გავბედე და ვკითხე.

— ოპერის თეატრთან მიმიყვანე-მეთქი, ვთხოვე და — რომელი ოპერის თეატრთან მიგიყვანოთ ქალბატონოო, — გამეარშიყა თავისი ჭკუით. მე მაგას ვაჩვენებ, როგორ უნდა არშიყობაო, — ბრაზს ვერ იოკებდა ქალბატონი.

ვერაფრით ვერ დავარწმუნე ქალბატონი, რომ ის საწყალი მძღოლი კი არ გაეარშიყა, მას, უბრალოდ, ჰგონია, რომ თბილისში რამდენიმე ოპერის თეატრია.

სასაცილო ამბავია, ხომ? თუმცა სასაცილო კი არა, უფრო სატირალია ის სიტუაცია, რაც ტაქსებთან დაკავშირებით თბილისში ხდება.

ეს არის აბსოლუტურად თვითდინებაზე მიშვებული, აბსოლუტურად უკონტროლო სფერო, სადაც სრული განუკითხაობა და ქაოსი სუფევს, ქვეყანაში კი არ არსებობს არანაირი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც მომსახურების ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროში თუნდაც მინიმალურ წესრიგს დაამყარებს.

როგორც კი ვინმე საუბარს წამოიწყებს ტაქსებით მომსახურების სფეროში არსებულ საგანგაშო ვითარებაზე, მას ასეთი არგუმენტებით აჩუმებენ: ეს ადამიანები პურის ფულს „ტაქსაობით“ შოულობენ და ოჯახს ამით არჩენენ. რა ვქნათ, ოჯახის რჩენის ეს უკანასკნელი საშუალებაც წავართვათ?

ეს ერთი შეხედვით ჰუმანური არგუმენტი სინამდვილეში სწორედ რომ ანტიჰუმანური არგუმენტია, რომელსაც არ შეიძლება ასე თუ ისე ოდნავ სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფო მოხელემ თავის მოქალაქეებს უთხრას და არსებულ პრობლემაზე კომენტარი ამ „ჰუმანური“ განცახდებით ამოწუროს.

ამ განცხადების გამკეთებელს ავიწყდება, რომ საქმე ეხება არა რაღაც ტვირთების გადაზიდვას, არამედ ადამიანების მომსახურებას, ადამიანების სიცოცხლის უსაფრთხოებას.

თავი რომ დავანებოთ ავტომანქანების ტექნიკურ გაუმართაობას, ვინმე აკონტროლებს, ვინმემ იცის, ვინმემ შეისწავლა, რა კატეგორიის ადამიანები უსხედან ე.წ. კერძო ტაქსების საჭეებს?

მე მინახავს ხეიბარი, ინვალიდი ტაქსის მძღოლები, მინახავს აშკარად კრიმინალური მანერების მქონე ტიპები, ფსიქიკურად ავადმყოფი ადამიანები, მინახავს ღრმად ასაკოვანი, 80-84 წლის მოხუცები, რომლებიც მოქალაქეებს ტასებით „ემსახურებიან“.




ქუჩაში ტაქსის დაჭერა საკმაოდ სახიფათო და რისკიანი საქმეა, რადგან შეიძლება ისეთ ვინმეს გადაეყარო, რომელმაც, გარდა იმისა, რომ მანქანის მართვაც კი არ იცის ხეირიანად, არ იცის კლიენტთან ურთიერთობის ელემენტარული ნორმები — უზრდელობს, უხეშობს, იგინება.

გვესმის, რომ ბევრმა გაჭირვების გამო მიმართა ამ ხელობას, გაჭირვების გამო ჩამოვიდა სოფლიდან თუ სხვადასხვა ქალაქიდან, რომ ოჯახი არჩინოს, მაგრამ ეს არ შეიძლება აკეთო იმის ხარჯზე, რომ სხვა ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა და ხელი მოჰკიდო იმ საქმეს, რომელიც არ იცი.

კარგი, მას არა აქვს იმდენი შეგნება, მაგრამ სახელმწიფოში რაღაც სტრუქტურა ხომ უნდა არსებობდეს, რომელიც, სანამ ლიცენზიას და ტრაფარეტს მიყიდდეს ტაქსის მძღოლობის მსურველს, ჯერ დაელაპარაკება ამ ადამიანს, მოსთხოვს ჯანმრთელობის ცნობას, გაარკვევს, რამდენად იცის ქალაქი, იმასაც დაადგენს, მძღოლობის რა გამოცდილება აქვს, იცის თუ არა, თუნდაც საყველპურო დონეზე, რომელიმე უცხო ენა, ვთქვათ, ინგლისური, რა წარსული აქვს, ვინ არის, რას წარმოადგენს და მხოლოდ ამის შემდეგ მისცემს ნებართვას, მოემსახუროს ადამიანებს.

ძნელია ამის გაკეთება?

არ არის ძნელი, უბრალოდ, ცოტა მეტი პრინციპულობა და გამბედაობაა საჭირო.

ქვეყანაში წლებია, თავი ვერ მოება ავტომანქანების ტექდათვალიერების საკითხს და, ალბათ, კიდევ დიდ ხანს ვერ მოებმება, მაგრამ ის ხომ შეიძლება გავაკეთოთ, რომ ის ავტომანქანები მაინც შემოწმდეს, რომელთა მძღოლებიც „ტაქსაობას“ აპირებენ.

წესრიგი, კონტროლი, კანონის ჩარჩოები ყველგან და ყველაფერშია საჭირო, მით უმეტეს ადამიანების მომსახურების ისეთ სფეროში, როგორიც ტაქსით მომსახურებაა.

ქვეყნის სირცხვილია, ქვეყნის პრესტიჟის შელახვაა ის, რაც ამ სფეროში ხდება.

კულტურული და ცივილიზებული ერი ვართო, ვირწმუნებით, მაგრამ საქმით ისეთ რაღაცებს ვაკეთებთ, რომ ამის დაჯერება ძნელია.

ტაქსი ქალაქის სავიზიტო ბარათია, ტაქსის მძღოლი — პირველი მასპინძელი.

რა შთაბეჭდილება შეიძლება შეექმნას სტუმარს, როცა ეს მასპინძელი გაუპარსავი, უკაცრავად და, დაუბანელი, ჭუჭყიანი ტანსაცმლით, აქოთებული სალონით ხვდება სტუმარს?

ჩვენი, ადგილობრივი მაცხოვრებლების თავი ჯანდაბას, ჩვენ დიდი ხანია შევეჩვიეთ, იმას, რაც ამ ქალაქში ხდება, მაგრამ სტუმრებისა მაინც მოგვერიდოს, რომლებიც ტაქსით სარგებლობას თუ გადაწყვეტენ, ტაქსის ნაცვლად ოთხ ბორბალზე შემდგარ საქათმეში ამოჰყოფენ ხოლმე თავს.

ეს უმწვავესი პრობლემა, რომელზეც ამ წერილში ვისაუბრეთ, მაქსიმუმ ორ თვეში შეიძლება მოგვარდეს, თუ ამას ქალაქის მთავრობა მოინდომებს.

ჰოდა, მოინდომეთ, ბატონებო, მოინდომეთ!

ვისარგებლებთ შემთხვევით და ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ასევე დიდი პრობლემაა, მე ვიტყოდი, სრული ქაოსია ე.წ. სამარშრუტო ტაქსებით მომსახურების სფეროშიც.



სამარშრუტო ტაქსები, დღისით საკმაოდ მრავლად არიან ქალაქში, მაგრამ მოსაღამოვდება თუ არა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სადღაც უკვალოდ ქრება.

როგორც აგვიხსნეს, სამარშრუტო ტაქსები კერძო საკუთრებაა და მათი მძღოლებიც ისე იქცევიან, როგორც მოეპრიანებათ.

— საღამოს მგზავრების ნაკადი მკვეთრად იკლებს და რა ვქნათ, ცარიელები ხომ არ ვივლითო, — ამიხსნა ერთმა მძღოლმა.

კი, მაგრამ, რა ქნას იმ მგზავრმა, რომელსაც უკანასკნელი 80 თეთრი აქვს გადანახული სახლში დასაბრუნებლად და თავის სამარშრუტო ტაქსს ელოდება, ის კი არა და არ მოდის, რადგან მძღოლმა, რომელიც დღისით 15 კაცის ნაცვლად 30 კაცს ტენიდა მანქანაში, საკმარისი ფული უკვე გამოიმუშავა და სულაც არ ენაღვლება იმ მგზავრის ბედი, რომელიც მის მოლოდინში ქუჩაში იყინება.

რა ხდება, რა განუკითხაობაა ეს — ნუთუ ამ სამარშრუტო ტაქსებს სხვა არანაირი ვალდებულება არა აქვთ გარდა ერთისა — დღისით რაც შეიძლება მეტი ფული აკეთონ, საღამოს კი თვითნებურად მიატოვონ ხაზი და სახლში წავიდნენ.

რა გამოდის — ეს პატივცემულები მხოლოდ დღის ცვლაში მუშაობენ?

კი, ბატონო, ეს სამარშრუტო ტაქსები მათი პირადი საკუთრებაა, მაგრამ ეს ქალაქიც ხომ არ არის მათი პირადი საკუთრება, რომელსაც, როგორც უნდათ, ისე ექცევიან, პასუხის მომთხოვნი კი არავინ არის.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

**რედაქციისგან:** იმედი გვაქვს, ქალაქის ახალი მერი, ბატონი კახი კალაძე, რომელიც სერიოზულ ცვლილებებს აანონსებს, ყურადღებას გაამახვილებს ამ წერილში წამოჭრილ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზებსაც დროულად და ოპერატიულად გამოძებნის.

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?




ვისოკი დეჩანის მონასტერი და დეჩანის ფრესკა



ფრესკები ახლოდან



თოვლის სასწაული

ფრანგული მონეტა



(გაგრძელება.
დასაწყისი „სგ“ N1 2017)

როგორც ვხედავთ, სასულიერო წიგნებში არა ერთგან შევხვდებით ადგილებს სადაც მფრინავი ობიექტები არათუ გაკვრით არის ნახსენები, არამედ, დაწვრილებით არის აღწერილი, ამდენად, გაუგებარია რატომ უარყოფს ასე კატეგორიულად სამღვდელოება დედამიწაზე არამიწიერი ცივილიზაციის გამოვლინების ფაქტებს.

რაც შეეხება სვეტიცხოვლის ფრესკას — ხატწერა ბიზანტიურია, ამდენად, ანგელოზები გამოსახული უნდა ყოფილიყვნენ ფრთებითა და შარავანდედით, ხოლო თუ ისინი მზე და მთვარეა, მათში მსხდომები არ უნდა იყვნენ ადამიანის სხეულით გადმოცემულები, რადგან ეს ქრისტიანობისთვის მკრეხელობაა...

უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული თითქმის ანალოგიური ხატი (არა — ფრესკა) 1964 წელს სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა ფერმწერმა სტუდენტმა კოსოვოში, ჯვარცმის გამოსახულებაზე ვისოკი დეჩანის მონასტერში, 15 მეტრის სიმაღლეზე, როცა მისი ფოტოგრაფირება დააპირა. ძნელია იმის დაჯერება, საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა სიაში გადაინაცვლა და ამჟამად დაცულია გაეროს კოსოვოს ძალების მიერ. საინტერესოა, რა და რატომ გამოსახეს სერბეთის მართლმადიდებლურ მონასტერში XIV საუკუნეში, რატომ უნდა ყოფილიყო მონასტრის კედლებში დაცული თანამედროვეობისთვის, ფაქტობრივად, ურწმუნო თუ სადავო თემის ამსახველი გამოსახულებები?

ასევე, საინტერესოა რემბრანდტის მოსწავლის დე გელდერის „ქრისტეს ნათლობა“ (კემბრიჯი. შესრულებული 1710 წელს), სადაც ასევე გარკვევით ჩანს ამოუცნობი მფრინავი ობიექტი, რომელიც სხივებს აგზავნის იორდანეზე იესოს ნათლობის დროს. მე-17-18 საუკუნეების ელიტურ მხატვარს რა ინფორმაცია უნდა ჰქონოდა, რომ ასე ზედმიწევნით ზუსტად დაეხატა დღევანდელი აღწერილობის ე.წ „მფრინავი თეფში“?

ბუნებრივია, რომ თუნდაც არამიწიერი ცივილიზაციის შექმნილ მფრინავ ტექნიკას სულიერი არსებები მართავენ, მაგრამ როგორ გამოიყურებიან ის ზეგანვითარებული სულიერები სკაფანდრის გარეშე? — ეზეკიელს თუ ვენდობით, ადამიანის მსგავსი ხელები აქვთ, ოთხი სახიდან კი ერთი სახეც ადამიანის აქვთ...

საინტერესოა, ვინ, რატომ, რა ფანტაზიით გამოსახა პერუში კლდეზე, ჩვ.წ.აღ-მდე XII-IV საუკუნეებში და იტალიაში, ასევე კლდეზე ჩვ.წ.აღ-მდე XIII-VIII საუკუნეებში სკაფანდრიანი ადამიანები, თუ მსგავსი არ არსებობდა და არც არავინ უნახავს?

„მადონა წმინდა ჯოვანინოთი“ („მარიამი წმინდა ჯოვანისთან“) შესრულებულია XV საუკუნეში (ფლორენცია) რომლის უკანა პლანზე გარკვევით ჩანს „ამო“ და ხელმოჩრდილული ადამიანი რომელიც ამ „მფრინავ უცნაურობას“ უმზერს. აზრთა უმრავლესობით, სურათის ავტორი დომენიკო გირლანდაიოა, მიქალანჯელოს მასწავლებელი, ადრეული რენესანსის („კვატროჩენტო“) ერთ-ერთი უძლიერესი მხატვარი, თუმცა გარკვეული წრეები თვლიან, რომ აღნიშნული სურათის ავტორები შესაძლოა იყვნენ: ფილიპო ლირი, მაინარდი და სელასიო, თუმცა, ამ შემთხვევაში, ალბათ, მნიშვნელობა არ აქვს კონკრეტულად რომელი მხატვარის ფუნჯს ეკუთვნის ნახატი. ვინმე ალან მაკ-გრეგორმა დაწერა წიგნი „ამო“ ძველ აღთქმაში“, სადაც დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ უკანა პლანზე, ცაში გამოსახული ობიექტი უცხო პლანეტელების ხომალდს წარმოადგენს;

ასევე, საინტერესოა არაკანონიკური ტრადიციით გადმოცემული „აღდგომა“ — რატომ არის მაცხოვარი გამოსახული ისე, რომ თითქოს რაკეტიდან არის გამოსული? („აღდგომის“ რამდენიმე სხვა ვერსიაშიც იმავე ოვალშია, თუმცა „რაკეტის ფრთები“ აღარ ფიქსირდება)

შუა საუკუნეების ცნობილი თუ უცნობი მხატვრები ხშირად გამოსახავდნენ ამო-ს, ბუნებრივია, იმას, რისი თვითმხილველებიც იყვნენ...

ამო არის გამოსახული 1538 წელს შესრულებულ გობელენზეც...

ამო არის გამოსახული 1680 წლის ფრანგულ მონეტაზეც... დამაინტრიგებელია წარწერა, რომელიც თავისუფალი თარგმანით ამგვარ შინაარს შეიცავს „იქაა შესაფერის დროს“...

იმავეს გვიხატავს 1383-1440 წელს მაზოლინო დე პანიკალეს „თოვლის სასწაული“... პაოლო უჩელო 1396-1475 წელს შესრულებულ ნახატზე... ლონდონის ნაციონალურ გალერეაში გამოფენილ კარლო კრიველის 1486 წელს შესრულებულ ნახატზე... XIV საუკუნეში შესრულებულ ნახატზე... 1608 წელს შესრულებულ გრავიურაზე...

სხვათაშორის, საქართველოს ხელოვნების ნაციონალურ მუზეუმში ინახება XV საუკუნეში შესრულებული წმინდა გიორგის ემალირებული მინიატურა, რომელზეც, მარჯვენა ზედა კუთხეში, აღქმით — ზეცაში, გამოსახულია გაურკვეველი დანიშნულების სოკოს მსგავსი გამოსახულება, რომელსაც ამო-დ მიიჩნევენ, კოსმიურ გამოვლინებად, რომელიც ძალას აძლევს წმინდანს უწმინდურთან ბრძოლაში...

აღნიშნული მაგალითები მხოლოდ მცირედი ნაწილია რაც ადამიანს შეუქმნია „ციდან მოსულების“ შესახებ, მაგრამ უფრო მეტს მეტყველებენ სასულიერო წიგნები და კიდევ უფრო მეტს მითები, რომლებიც ფანტასტიკურ, „ზღა-პარ-ულ“ შინაარს ატარებენ... („ზღაპრის“ შესახებ უკვე ვთქვით).

(მეორე ნაწილის დასასრული)



გელდერის „ქრისტეს ნათლობა“



სკაფანდრიანი პერუში



სკაფანდრიანი იტალიაში



პაოლო უჩელოს ნახატი

რომ ეკლესიებში, ხატსა თუ ფრესკაზე „მზე“ და „მთვარე“ სხედან „რაღაც მფრინავ აპარატში“ და მათგან ერთ-ერთს, სულაც ხელი უდევს სამართავ ბერკეტზე...

მონასტერი 1327 წელს წაბლის ტყეში დააარსა სერბეთის მეფე სტეფან უროშ III-მ (ჩანაწერი ამის შესახებ 1330 წლით დარიღდება). Mმომდევნო წელს მეფე გარდაიცვალა და მშენებლობა მისმა ვაჟმა უროშ IV-მ განაგრძო. სამუშაოები 1335 წელს დამთავრდა, მაგრამ ფრესკების წერა 1350 წლამდე გრძელდებოდა. 2004 წლიდან ვისოკი-დეჩანის მონასტერი შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში, 2006 წელს კი ეთნიკური ალბანელების მხრიდან პოტენციური თავდასხმების გამო, მონასტერმა



მარიამი წმინდა ჯოვანისთან



აღდგომის ხატი



წმინდა გიორგი

# მარტინ ბორმანი – ჰიტლერის პირადი მდივანი, ფიურერის ნდობით აღჭურვილი პირი, სტალინის საიდუმლო აგენტი იყო?!

„ვინც ბორმანის წინაღმდეგია,
ის სახელმწიფოს წინააღმდეგია.“

ადოლფ ჰიტლერი



1946 წლის 1 ოქტომბრს ფაშისტური გერმანიის მაღალი სამხედრო პირების უმაღლესი სამხედრო ტრიბუნალი გაიმართა. 12 ადამიანს ტრიბუნალმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ჩამოხრჩობით, მაგრამ მხოლოდ 10 მათგანი დასაჯეს. ორი მათგანი გერმან გერინგი და მარტინ ბორმანი სასჯელს გადაურჩნენ.

როცა საბჭოთა ჯარები გერმანიაში შევიდნენ, ბორმანი გაქრა. ტრიბუნალმა მას სასიკვდილო განაჩენი დაუსწრებლად გამოუტანა.

იმ ხანებში სპეცსამსახურებში უკვე გავრცელებული იყო საიდუმლო ცნობები ბორმანის თანამშრომლობაზე საბჭოთა დაზვერვასთან.



რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, ბორმანის საფლავი მოგვიანებით მოსკოვში აღმოაჩინეს. ამან კიდევ უფრო განამტკიცა ვითომდა აბსურდული ვერსია ბორმანის თანამშრომლობაზე საბჭოთა კავშირთან.

როგორც ყველა ტოტალიტარულ სახელმწიფოში, სახელმწიფო საიდუმლოების შენახვა გადარჩენის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იყო. ყველა ინტრიგა, სახელმწიფო თუ პირადი საიდუმლოება უნდა დარჩენილიყო აბსოლუტურად საიდუმლოდ. ხალხს არ უნდა სცოდნოდა ისეთი რამ, რაც ხელისუფლების კომპრომეტირებას მოახდენდა. ჰიტლერის პირადი საიდუმლოებები მესამე რეიხში ზესაიდუმლოებად ითვლებოდა. ასევე იყო მარტინ ბორმანის პირადი ცხოვრებაც.

მარტინ ბორმანი არ იყო უბრალო კაცი.

თავისი კარიერის განმავლობაში ბორმანს უამრავ პირად მტერთან მოუხდა ღია თუ ფარული ბრძოლა.

ალბერტ შპეერი იხსენებდა: მისხალი საყვედური ჰიტლერის მხრიდან ბორმანის მისამართით საკმარისი იყო, რომ ბორმანის მტრები ყელში სწვდომოდნენ და მოეხრჩოთ იგი, თუმცა მმართველობის პერიოდში ჰიტლერს ერთი შენიშვნაც არ მიუცია ბორმანისთვის, რადგან მან მშვენივრად იცოდა, ეს იქნებოდა პირდაპირი კრიტიკა თვით ფიურერის მისამართით.

ყველასთვის გამოცანად რჩებოდა ის, თუ როგორ შეძლო მარტინ ბორმანმა მცირე დროში, რიგითი ჯარისკაციდან ჰიტლერის პირადი მდივნის თანამდებობამდე მიაღწია და ხელში ჩაეგდო უდიდესი ძალაუფლება.

1924 წელს სტუდენტი ბორმანი მასწავლებლის ჯგუფურ მკვლელობაში დაადანაშაულეს. მაშინ ის ერთ-ერთი მილიტარისტული კავშირის წევრი იყო, ასეთი ჯგუფები მრავლად არსებობდა მაშინ გერმანიაში და ნაციის გადარჩენის იდეით იყო გაერთიანებული, კონკრეტულად, ებრაული ძალების გაძლიერების თვალსაზრისით.

მაშინ დამნაშავეებს 11-12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. ბორმანს მხოლოდ 1 წლით.

შემდეგ თვით მარტინ ბორმანი წერდა, რომ ის დაკავებული იყო პოლიტიკური საქმიანობისთვის.

მალე იგი ვალტერ ბუგის ქალიშვილზე გერდაზე დაქორწინდა. ვალტერ ბუგი ჰიტლერთან იყო დაახლოებული.

ჰიტლერი ბორმანისა და გერდას ქორწილში ხელისმომკიდე გახლდათ.

მარტინ ბორმანმა მალე ფიურერის საკანცელარიო სამსახური ჩაიბარა. ასეთ რუტინულ სამუშაოზე ბევრი ამბობდა უარს. ჰიტლერი ხვდებოდა, რომ მას სწორედ ბორმანისნაირი შრომისმოყვარე და საქმისადმი თავდადებული ადამიანი სჭირდებოდა ამ საქმეში.

ბორმანი მართლაც შეუცვლელი იყო.

ცოტა ხანში მის ხელში აღმოჩნდა მესამე რეიხის ყველა სამსახურის აუცილებელი და საიდუმლოებით მოცული დოკუმენტები.

ბორმანი ჰიტლერის ყველა შენიშვნას, ყველა დავალებას და ბრძანებას საკუთარი უბის წიგნაკში იწერდა, რაც მას ინტერპრეტირების საშუალება აძლევდა და, შესაბამისად, მოქმედების სრული თავისუფლება ენიჭებოდა. საბოლოოდ, ფიურერის ყველა ფინანსური საქმე მარტინ ბორმანს გადაეცა, მათ შორის, ადოლფ ჰიტლერის „გერმანიის სამრეწველო აღორძინების ფონდისაც“.

ევა ბრაუნიც კი ბორმანს უწევდა ანგარიშს, რადგან კარგად ხვდებოდა, რომ ადოლფი მთლიანად იყო მასზე დამოკიდებული.

თვით გებელსიც კი ცდილობდა, მასთან ურთიერთობა არ დაემაბა.

ხალხმრავალ სუფრაზე ბორმანი თითქმის მშიერი რჩებოდა, რადგან არადროს მიირთმევდა სხვა რამეს იმის გარდა, რასაც ჭამდა მისი ფიურერი. ის არ ეწეოდა ჰიტლერის თანდასწრებით, ყოველთვის მის უკან მოდიოდა და ჯდებოდა ჰიტლერის უკან სკამზე, აკვირდებოდა მის ყოველ მოძრაობას, რათა ე.წ. ბატონის ნამდვილი ასლი ყოფილიყო.

საბჭოთა ტერიტორიის დაპყრობის გეგმის განხილვისას ბორმანი წერდა: „აღმოსავლეთ ურალის სახელმწიფოს არსებობა გამორიცხულია, ამისთვის 100-წლიანი ომიც რომ დაგვჭირდეს, უნდა ვიბრძოლოთ. ვოლგის კოლონიები რეიხის ნაწილი უნდა გახდეს, ასევე ბაქო და მისი შემოგარენიც. ლენინგრადი მიწასთან უნდა გავასწოროთ და გადავცეთ ფინეთს. ყველგან გერმანელები უნდა ჩავასახლოთ. ყველა ზომა უნდა გამოვიყენოთ – დახვრეტები, გადასახლება და ა. შ.“

ბორმანის პირად კონტროლზე იყო ებრაელთა საკითხი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბორმანი იყო ადოლფ ჰიტლერისა და მესამე რეიხის ერთ-ერთი და უმთავრესი დასაყრდენი, თუმცა, როგორც ვთქვით, იგი ნიურნბერგის პროცესს არ დასწრებია და, შესაბამისად, არც დაუსჯიათ. 1945 წლის გაზაფხულზე მარტინ ბორმანი უკვალოდ გაქრა.

1945 წლის 1 მაისს მარტინ ბორმანმა ბუნკერი დატოვა. ჯიბეში ედო ჰიტლერის ანდერძი და საკუთარი დღიური შენიშვნებითა და ჩანაწერებით.

ჯერ კიდევ ნიურნბერგის პროცესამდე მიმდინარეობდა ბორმანის ძებნა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს.

ბორმანის შესახებ ცნობები 60-იან წლებშიც ვრცელდებოდა, თითქოს ის ცოცხალი იყო და სხვა სახელითა და გვარით ცხოვრობდა ბუენოს-აირესში. ამის შესახებ ისრაელის დაზვერვა იტყობინებოდა, რომელიც შეუჩერებლად ეძებდა ნაცისტ დამნაშავეს. იპოვეს კიდევაც ვინმე ადოლფ ეიხმანი, რომელსაც პლასტიკური ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული...

ბორმანის ადვოკატი ნიურნბერგის პროცესზე აცხადებდა, რომ ფიურერის მარჯვენა ხელი ან მკვდარი იყო, ან საბჭოთა ხელისუფლებას ჰყავდა დატყვევებული.

SS-ის გენერალი გოტლიბ ბერგერი ამტკიცებდა, რომ ბორმანი საბჭოთა კავშირის აგენტი იყო, რითაც მან ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო.

ერთ-ერთი ეკლესიის პასტორი სასამართლოზე იტყობინებოდა, რომ, ბუნკერიდან გამოსულმა ბორმანმა რუს ოფიცერს გარკვეული სახის დოკუმენტაცია გადასცა მოსკოვში გადაგზავნად.

ინგლისის, გერმანიის, აშშ-ის სპეცსამსახურები 30 წლის განმავლობაში იკვლევდნენ ამ ვერსიას.

ბრიტანეთის დაზვერვა აცხადებდა, რომ 1948 წლის გაზაფხულზე ბორმანი მოსკოვში იმყოფებოდა.

ამ ვერსიას ავრცელებდა აშშ-ის სახელმწიფო დაზვერვაც.

1971 წლის 11 სექტემბერს გერმანულმა გამოცემამ გენერალ რეინფოლდ გელენის მემუარები გამოაქვეყნა. გელენი დასავლეთ გერმანიის საშინაო დაზვერვას ხელმძღვანელობდა. ისიც ამტკიცებდა, რომ ომის დასრულების შემდეგ მარტინ ბორმანი საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა, თუმცა კომენტარებზე, ამ საკითხთან დაკავშირებით, კატეგორიულად იკავებდა თავს.

ბორმანის შესახებ საბჭოთა კავშირში დაბეჭდილი გამოცემა ასე მთავრდება.

მოსკოვთან ახლოს არსებობს ძველი სასაფლაო, სადაც უამრავ მივიწყებულ საფლავს შორის აღმოაჩენთ ძველ სამარხს წარწერით – მარტინ ბორმანი – 1900–1972 წელი.

SS-ის გენერალი ოლენდორფი ნიურნბერგის პროცესის მიმდინარეობისას აღნიშნავდა: „ის, რომ ბორმანი საბჭითა კავშირის აგენტი იყო, ფაქტებით დასტურდება“.

ნაცისტები მესამე რეიხის დაცემის საქმეში ბორმანს უკვე ხელაღებით ადანაშაულებდნენ.

გერინგისა და მესამე რეიხის სხვა ხელმძღვანელების მტკიცებით, გერმანიის ქალაქების დაცლა და მოსახლეობის დევნის ოპერაცია არ მოდიოდა ჰიტლერისგან, ეს იყო ბორმანის ბრძანება და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მითითება...



ნიურნბერგის ბრალმდებლის სიტყვებით, ებრაელების დევნისა და ძარცვის ინიციატივა და ბრძანებულებები ბორმანისგან მოდიოდა. მისივე თქმით, ებრაელთა გასანადგურებლად შექმნილი სპეციალური ბანაკებისთვის ბორმანი დიდძალ თანხებს და სამხედრო კადრებს გზავნიდა. ის ებრაელთა მიმართ შეუპოვარ წინააღმდეგობას, მათ პირდაპირ განადგურებას ითხოვდა ისე, რომ ჰიტლერმა ამის შესახებ თითქმის არაფერი იცოდა.

ბორმანი ხელს უშლიდა უკრაინის სპეციალიზირებულ არმიას ებრძოლა საბჭოთა კავშირის წინაღმდეგ, რითაც თავისი ბრძანებულებით, უკრაინა არჩევანის წინშე დააყენა.

ის, თავისი მოქმედებებით ცდილობდა მესამე რეიხის ხელმძღვანელობისგან გერმანიის მთავრობა გაეთავისუფლებინა ისე, რომ დაესუსტებინა იგი. ცდილობდა, ჰიტლერი, ფაქტობრივად, მხოლოდ მისი გავლენის ქვეშ მოექცია.



ნიურნბერგის პროცესის მიმდინარეობისას გერმანული მხარე არგუმენტირებულად ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ბორმანი გადაბირებული იყო საბჭოთა დაზვერვის მიერ – გერმანიის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ.

შპაიერი, გერმანიის სამხედრო მრეწველობის მინისტრი ასე აფასებდა ბორმანს: ბორმანის გავლენა ნაციონალურ უბედურებად იქცა. საბჭოთა კავშირმა იგი გმირად უნდა აღიაროსო.

საბჭოთა მკვლევარი ბორის ტარტაროვსკი 1992 წელს აქვეყნებდა წერილს ბორმანის საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობის შესახებ.

ბორმანი დავერბოვკებული იქნა 1920-იან წლებში. ის მიწვეული იქნა მოსკოვში, სადაც გაიარა სადაზვერვო სკოლა, რის შემდეგაც იგი გერმანიაში უნდა გამგზავრებულიყო, ნაცისტების პარტიაში უნდა ჩარიცხულიყო და ჰიტლერის ნდობა უნდა მოეპოვებინა. ის 1945 წლამდე მოღვაწეობდა, როგორც საბჭოთა აგენტი, ხოლო 1945 წლის მაისში ის გადაარჩინეს საბჭოთა ტანკისტებმა, რომლებიც ჰიტლერის ბუნკერს ბომბავდნენ. შემდეგ ბორმანი ცხოვრობდა მოსკოვში, სადაც გარდაიცვალა 1972 წელს. მისი საფლავი ლეფორტოვოს სასაფლაოზეა.

ჟურნალისტი ლუის კინსლერი აღნიშნავს: მარტინ ბორმანი თანამშრომლობდა საბჭოთა დაზვერვასთან, რადგან სურდა კავშირის დამყარება საბჭოთა კავშირთან, მით უმეტეს, რომ სსრკ მეორე მსოფლიო ომამდე გერმანიას თავის სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავდა.

მაგრამ მანამდე, გერმანიის მიერ ამხელა ავანტურას ჯერ კიდევ ვერავინ რომ ვერ წარმოიდგენდა, მარტინ ბორმანი, 1922 წელს, საბჭოთა სპეცსამსახურების შემადგენლობაში შევიდა. მსოფლიოს, მაშინაც ნავთობის ციებ-ცხელება ჰქონდა შეყრილი. ბაქოს ნავთობის ვაჭრობა მთლიანად ებრაელი ოლიგარქების – ალფრედ ნობელისა და ძმები როკფელერების ხელში იყო. „ნობელის ნავთობი" – ასე ეწერა უმსხვილეს კომპანიას ბაქოში.

ყურადსაღებია სწორედ ბორმანის ბრძანებულება და გეგმები ბაქოსა და მისი შემოგარენის ნაცისტური გერმანიის შემადგენლობაში გადასვლასთან დაკავშირებით.

არიული რასა დომინანტი უნდა ყოფილიყო მთელ მსოფლიოში, ხოლო ებრაელების მიერ საბჭოთა ტერიტორიების ფინანსური ოკუპაცია ნაციზმს ამაში აშკარად უშლიდა ხელს. ჰიტლერის უკანასკნელი სიტყვებიც ხომ ეს იყო – ყველაფერი ებრაელების ბრალია...

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში უდიდესი წვლილი ებრაულ მასონიზმს და მათ ფინანსებს რომ აკისრიათ, ამაზე დღეს უკვე ყველაზე ნაკლებად კამათობენ...

არ არის გამორიცხული მესამე რეიხის ერთ-ერთი ბურჯის – მარტინ ბორმანისა და იოსებ სტალინის ინტერესები ამ კუთხით ერთმანეთს დამთხვეოდა.

როგორც ამბობენ ხოლმე – „ნეტ ხუდა ბეზ დობრა". სტალინისა და ბორმანის, ამ ორი, ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი ადამიანის ნებსითი თუ უნებლიე ბრძოლა, გარკვეული მიზნისთვის, გასულ საუკუნეში გამარჯვებით დასრულდა. დღეს სადაც ანტიფაშისტები სწყევლიან ბორმანს, იქვე სტალინსაც აყრიან ფურთხსა და ნაგავს, თუმცა საიდან ჰქრის სიო თუ ქარიშხალი სტალინისა და მასთან დაკავშირებული ადამიანების მისამართით, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
593 78 64 69



* * *

**– რა არის ამნისტია და რა შეიძლება განხორციელდეს ამნისტიის აქტით? ასევე, მაინტერესებს შეწყალების საკითხი.**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77–78 მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგოდგენთ სრულად:

მუხლი 77. ამნისტია

1. ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.

2. ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის- სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

3. სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

მუხლი 78. შეწყალება

1. შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ.

2. შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

3. სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

* * *

**– წარმოშობს თუ არა ნიშნობა დაქორწინების ვალდებულებას?**

– არა.

ვინაიდან, თანამედროვე ახალგაზრდებში აქტუალური გახდა დაქორწინებამდე ერთმანეთის დანიშვნა, საკითხს დაგიკონკრეტებთ სამართლებრივად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით:

მუხლი 1109. დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. ნიშნობა

1. დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას.

2. ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი.

3. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

* * *

**– განქორწინებული ვარ მეუღლესთან. ის ნებაყოფლობით იხდის ჩვენი მცირეწლოვანი შვილის მიმართსაალიმენტო გადასახადს. მიუხედავად ამისა, მაქვს თუ არა უფლება, თავის დაზღვევის მიზნით, მოვითხოვო ალიმენტის გადახდა სასამართლო წესით?**

– სასიამოვნოა, თუ თქვენი ყოფილი მეუღლე თავს არ არიდებს მამის მოვალეობას და ნებაყოფლობით იხდის შვილის მიმარ საალიმენტო გადასახადს.

თქვენს შეკითხვასთან დაკავშირებით, განგიმარტავთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1232- ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ალიმენტის ნებაყოფლობით გადახდის წესი არ გამორიცხავს ალიმენტის მიღების უფლებას, ნებისმიერ დროს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

* * *

**– ნაშვილები ბავშვი არის თუ არა ბიოლოგიური მშობლების მემკვიდრე?**

– არა, თუმცა არის გამონაკლისიც, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ:

მუხლი 1260. ნაშვილების ურთიერთობანი ბიოლოგიურ მშობლებთან

1. ნაშვილები კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება მოვალეობისაგან თავისი ბიოლოგიური მშობლებისა და წარმოშობით ნათესავების მიმართ.

2. ერთი პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში ნაშვილები ინარჩუნებს აღნიშნულ უფლება- მოვალეობებს — დედის სურვილით, თუ მშვილებელი მამაკაცია, ან მამის სურვილით — თუ მშვილებელი ქალია.

დამატებით განგიმარტავთ, რომ, სამოქალქო კოდექსის 1259-ე მუხლის მიხედვით, ნაშვილები და მისი შთამომავლობა — მშვილებლისა და მის ნათესავთა მიმართ, ხოლო მშვილებელი და მისი ნათესავები — ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესავებს.

* * *

**– როდიდან შედის ძალაში სამოქალაქო კანონი?**

– მთლიანად მოგაწოდებთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის შინაარსს, რომელიც ამომწურავად პასუხობს თქვენს შეკითხვას:

– მუხლი 3.სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში

1. კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ძალაში შედიან მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ.

2. კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

3. კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს ახალი კანონი, ან ძველი ეწინააღმდეგება ახალს, ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას, ანდა, თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი.

4. ზოგადი ხასიათის კანონი არ აუქმებს სპეციალურ კანონს, თუ ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მიზანს.

5. იმ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი კანონი, არ ნიშნავს ძველი კანონის ამოქმედებას.

* * *

**– მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია. გვითხრეს, რომ შეიძლება მოხდეს საჯარო შეტყობინება. რას ნიშნავს საჯარო შეტყობინება?**

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

# XXI საუკუნის ყველაზე ძვირადღირებული ქორწილები

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქორწილების აღნიშვნის ტრადიცია თანდათანობით პოპულარობას კარგავს და თანამედროვე ახალდაქორწინებულები ფულის უფრო გონივრულად გამოყენების გზებს ეძებენ. თუმცა, მდიდარ ადამიანებზე ეს ტენდენცია არ ვრცელდება: ქორწინება მათთვის კიდევ ერთი საშუალებაა იმისათვის, რომ ყველას უჩვენონ საკუთარი შესაძლებლობები. წარმოგიდგენთ ყველაზე ძვირადღირებულ ქორწილებს Forbes-ის მიხედვით.



### ვანიშა მიტალი და ამიტ ბჰატია

ღირებულება: 60 მლნ. დოლარი. წელი: 2005. ვანიშა მიტალი დიდი ხნის განმავლობაში იყო ყველაზე სასურველი პატარძალი. მისი მზითევი რამდენიმე მილიარდს დოლარს შეადგენდა. ბანკირ ამიტ ბჰატიასთან მისი ქორწინების აღნიშვნა პარიზში ერთ კვირას გაგრძელდა. იქ წყვილის 100-მდე ნათესავი და მეგობარი ჩაიყვანეს. სტუმრებს საქორწინო მოსაწვევები ვერცხლის ზარდახშებით გაუგზავნეს. ისინი ტიულრის პარკში სეირნობდნენ და კაილი მინოუგის სიმღერაზე ცეკვავდნენ. სტუმრებმა 5000 ბოთლი შატო მუტონ როტშილდი დალიეს და რამდენიმე კილოგრამი ხიზილალა მიირთვეს.

### პრინცი უილიამი და ქეით მიდლტონი

ღირებულება: 34 მლნ. დოლარი. წელი: 2011. მთელი მსოფლიო თვალს ადევნებდა ბრიტანეთის ტახტის მომავალი მემკვიდრისა და მისი უნივერსიტელი მეგობრის ქორწინების ცერემონიალს. გაერთიანებული სამეფოს მცხოვრებლები ძალზე უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ ზეიმი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა. მიუხედავად სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური სიტუაციისა, მარტო ყვავილებზე 200 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტი დაიხარჯა, ამდენივე დაიხარჯა 2000 სტუმრის გამასპინძლებაზე, უსაფრთხოების ზომების დაცვისთვის კი რამდენიმე მილიონი გირვანქა



სტერლინგი გამოიყო. სოლიდური ფინანსები გაიღეს ქეით მიდლტონის მშობლებმა.

### ანდრეი მელნიჩენკო და ალექსანდრა ნიკოლიჩი

ღირებულება: 30 მლნ. დოლარი. წელი: 2005. უმდიდრესმა რუსმა მეწარმემ გადაწყვიტა, ბედი „მის იუგოსლავიის“ ტიტულის მფლობელთან დაეკავშირებინა. მათ ხელი მოაწერეს და ჯვარიც დაიწერეს სამლოცველოში, რომელიც მოსკოვიდან დაშლილ მდგომარეობაში საკუთარი თვითმფრინავით ჩაიტანეს ლაჟვარდოვან სანაპიროზე, ქალაქ ანტიბში. იმავე თვითმფრინავით ჩაიყვანეს იქ კრისტინა აგილერა და უიტნი ჰიუსტონი. მომღერალმა ქალბატონებმა 3,5 მლნ დოლარი მიიღეს იმისათვის, რომ დააფასეს ბიზნესმენი და ქორწილს დაესწრნენ. სტუმრებს შორის იყვნენ ხულიო და ენრიკე იგლესიასიც.

### კიმ კარდაშიანი და კრის ჰამფრისი

ღირებულება: 10 მლნ. დოლარი. წელი: 2011. კიმ კარდაშიანის სახელი სიმდიდრესთან ასოცირდება. მიიღო რა კალათბურთელ კრის ჰამფრისის წინადადება ქორწინების შესახებ, კიმმა განაცხადა, რომ მის ქორწილს ამერიკული ბომონდი უნდა გაეოცებინა. მით უმეტეს, სასიძოს საქორწინო ბეჭედზე ფული არ დაუზოგავს: 20-კარატიანი ბრილიანტით შემკული სამკაული დაახლოებით 2 მლნ დოლარი ღირდა. სტუმრებს კალიფორნიაში, მონტესიტოს მამულში გადაჭიმულ ულამაზეს კარავში ხვდებოდნენ, რომელიც ათასობით სურნელოვანი აფრიკული ვარდით იყო მორთული.

### უეინ რუნი და კოლინ მაკლაფლინი

ღირებულება: 8 მლნ. დოლარი. წელი: 2008. „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა ცოლად ბავშვობის მეგობარი შეირთო, რომელიც სკოლაში გაიცნო. ქორწილი მათი სასიყვარულო ურთიერთობიდან ექვსი წლის შემდეგ გაიმართა. ცერემონია მოკრძალებული იყო და მხოლოდ 20 წუთს გაგრძელდა. ზეიმი იტალიურ რივიერაზე სამ იახტაზე გაიმართა. რუნიმ და მაკლაფინმა საჩუქრებზე უარი განაცხადეს: მათ გადაწყვიტეს, რომ მათთვის მისაცემი ფული ახლობლებს რომელიმე საქველმოქმედო ორგანიზაციაში გადაერიცხათ.

### ჩელსი კლინტონი და მარკ მეზვინსკი

ღირებულება: 5 მლნ. დოლარი. წელი: 2010. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ერთადერთი ქალიშვილის ქორწილი სრულიად საიდუმლო ვითარებაში გაიმართა. წყვილი ნიუ-იორკის შტატის ქალაქ რაინბეკში დაქორწინდა. ქალაქისკენ მიმავალი გზები და საჰაერო სივრცე დახურული იყო, რათა პაპარაცებს ქორწილზე ვერ შეეღწიათ, სტუმრებს კი სპეციალური საიდენტიფიკაციო სამაჯურები მისცეს.



პატარძალს დიზაინერ ვერა ვონგის კაბა ეცვა. დახვეწილი მენიუს შესაქმნელად სამი უმსხვილესი კომპანია ზრუნავდა, რომელთა მომსახურება დაახლოებით 750 000 დოლარი დაჯდა. ერთგულების ფიცი ახალგაზრდებმა ერთდროულად პასტორისა და რაბინის წინაშე წარმოთქვეს, რადგან ჩელსი მეთოდისტია, მარკი კი — იუდეველი.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22



## რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“



რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს **„ივერონი – ხინკლის სახლი“**. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს **„ივერონი – ხინკლის სახლი“** მისი ხელმძღვანელის ქალბატონი **ნინო თევდორაშვილის** თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან **„ივერონი – ხინკლის სახლში“**. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

**რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“**
ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.




ჩვენი გაზეთის ჟურნალისტს
**გია ბურდულს**
ვულოცავთ დაბადების დღეს.
ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს,
ჯანმრთელობას და წარმატებებს
პირად და პროფესიულ საქმიანობაში.
„საერთო გაზეთი“



**საერთო გაზეთი**
**მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა**

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 38 26 73; +995 32 38 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001